# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 5 ივლისი, 2012 წელი.

№127 (7003)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ქარწაღებული ხიდის მამა მინისტრის პორტფელით ჯილდოვდება ③



## 40-მილიარდიანი ბიუჯეტი და



②

## უტოპიური დაპირებები

## სააკაშვილმა საკვანძო მოკავშირე პრემიერად დანიშნა

⑧



## „ბედნიერი ერის“ შვილები



⑥

## სალომე ზურაბიშვილი „ფეისბუქში“ განცხადებას ავრცელებს ⑤

## გარე საფრთხეები და შექმნილი ვითარება ④



◉ „ვანოს შოუ“

# 40-მილიარდიანი ბიუჯეტი და უტოპიური დაპირებები

**ხელისუფლებამ ბიძინა ივანიშვილთან შეჯიბრში საერთოდ გარეკა. შსს-ს ექსმინისტრის და ჯერაც პრემიერმინისტრობის კანდიდატს ვანო მერაბიშვილს არითმეტიკაში ძალიან უჭირს ან კიდევ მიზანმიმართულად ისვრის ჯიბიდან მილიარდებს.**

**ხელისუფლების უაზრო ბაქიბუქი უკვე მომაბეზრებელი ხდება. თუკი მთავრობაში ვინმეს სოფლის მეურნეობის აღორძინება, პენსიების ზრდა, დაზღვევისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა სურდა, 8 წელიწადი ვანოს გაპრემიერებას ელოდა? ანდა მერაბიშვილს თუ ასეთი გრანდიოზული იდეები აწუხებდა, მაინცდამაინც 2012 წელს, ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენას და საპარლამენტო არჩევნებს რატომ უცდიდა?**

**ასეა თუ ისე, ხელისუფლება საპროგრამო მიზნებზე ოთხ წელიწადში ბიუჯეტიდან 20 მილიარდის დახარჯვას გეგმავს. პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ვანო მერაბიშვილი პირობას დებს,**



**რომ მომავალი 4 წლის განმავლობაში ქვეყნის ბიუჯეტი, საშუალოდ, 40 მილიარდი ლარი იქნება. პროგრამაში, რომელსაც ეწოდება — „მეტი სარგებელი ხალხს“, აღნიშნულია, რომ მომდევნო ოთხ წელიწადში პენსიების დაფინანსებაზე ბიუჯეტიდან 6 მილიარდი ლარი დაიხარჯება, ჯანმრთელობის დაზღვევაზე — 3 მილიარდი, სოციალურ დახმარებებზე — 3 მილიარდი, სოფლის მხარდაჭერის და განათლების დაფინანსების მიზნით — 4-4 მილიარდი.**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ეკონომიკის ექსპერტის აკაკი ცომაიას თქმით, **1000-ლარიანი ვაუჩერების გაცემა 7-მილიარდიანი ბიუჯეტის ფონზე სავსებით რეალისტურია, თუმცა ამით საქართველოს ხელისუფლება პროტექციონიზმს ირჩევს და თავისუფალ ეკონომიკაზე უარს ამბობს. ამ გზით კი ეკონომიკა ვერ განვითარდება. რაც შეეხება სოფლის მეურნეობაში 4 წლის განმავლობაში 4 მილიარდი ლარის ჩადებას, რასაც ასევე ითვალისწინებს მთავრობის ახალი პროგრამა, ცომაიას შეფასებით, ეს თანხა საკმარისი არაა, რადგან საქართველო კონკურენციას ვერ გაუწევს იმ ქვეყნებს, სადაც სოფლის მეურნეობა განვითარებულია. ცომაიასთვის ასევე გაურკვეველია, რა სტრატეგიის შედეგად აპირებს ხელისუფლება 4 წლის განმავლობაში 4 მილიარდის ინვესტიციის მოზიდვას.**

მთავრობის ახალი გეგმა ოპოზიციასთან შეჯიბრია — ასეთ შეფასებას აკეთებს „ახალი ეკონომიკური სკოლის“ პრეზიდენტი პაატა შეშელიძე. მისი თქმით, ის ქვეყნის ახალი პრემიერ-მინისტრისგან უფრო მიზანმიმართულ და გრძელვადიან პროგრამას ელოდა.

**„შეშელიძის განმარტებით, 1000-ლარიანი ვაუჩერების დარიგებით საქართველოს ხელისუფლება თავისუფალ ეკონომიკაზე უარს ამბობს, ვინაიდან ვაუჩერების დარიგება ფულის ერთი ჯიბიდან ამოღებისა და მეორე ჯიბეში ჩადების პრინციპია. „მათ, ვისი ჯიბიდანაც ფულს ამოიღებენ, სხვა გზა, გარდა ქვეყნის დატოვებისა, არ ექნებათ“,** — აცხადებს შეშელიძე. მისივე თქმით, 1000-ლარიანი ვაუჩერების დარიგების ნაცვლად, უმჯობესი იყო ხელისუფლებას საშემოსავლო გადასახადი შეემცირებინა.

დაახლოებით იგივე პოზიციას იზიარებს სტატისტიკოსი სოსო არჩვაძე. მისი აზრით, მოსახლეობის შემოსავლების დიდი ნაწილი საკუთარი შრომითი საქმიანობის შედეგად უნდა ფორმირდებოდეს და ადამიანები მთავრობის კეთილ ნებაზე არ უნდა იყვნენ დამოკიდებულნი. გარდა ამისა, სოციალური პროგრამების დაფინანსების გაზრდა ნიშნავს — ერთი ნაბიჯი წინ და ორი უკან — სოციალიზმისკენ.

**„სოციალური პროგრამების გაზრდა საბაზრო ეკონომიკის პრინციპებში არ ჯდება. მოსახლეობას შემოსავლის საკუთარი შრომით მიღების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს და შემდეგ თვითონ გადაწყვეტს, რაში დახარჯოს ეს ფული. თუ სოციალური პროგრამების დაფინანსების ზრდა გაგრძელდება, ქვეყანაში სოციალიზმის ნიშნები გაჩნდება“,** — ამბობს სოსო არჩვაძე.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში დემურ გიორხელიძე **ახალი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის მთავრობის ახალ პროგრამას წინასაარჩევნო მანევრად აფასებს და აცხადებს, რომ ხელისუფლება ახალი მთავრობის ახალი გეგმით ივანიშვილთან ჩამორჩენის ლიკვიდაციას ცდილობს.**

**მიუხედავად ამისა, ამ წინადადებებს მხოლოდ დეკლარაციული ხასიათი აქვს. თუნდაც წინადადება, რომელიც ითვალისწინებს თითოეული მოქალაქისთვის ოთხი წლის განმავლობაში 1000-ლარიანი ვაუჩერების დარიგებას, რაც მას აზრს უკარგავს, რადგან წელიწადში 250 ლარი უკიდურესად გაჭირვებულ საქართველოს მოქალაქეებისთვის უკიდურესად ცოტაა.**

**რაც შეეხება დაზღვევას, ეს გარდაუვალია, ეს არ არის წინასაარჩევნო დაპირება. ჯერ კიდევ „ქართულმა ოცნებამ“ და ბიძინა ივანიშვილმა განაცხადეს საყოველთაო დაზღვევის აუცილებლობის შესახებ. უპასუხისმგებლო ხალხის მიერ ჩატარებულმა რეფორმებმა გააკეთეს ის, რომ ქართული მოსახლეობა შემოსავლების გარეშე დატოვეს. სანამ ეკონომიკა ამოიქაჩება და უმუშევრობა მოისპობა, ადამიანებისთვის საჭიროა დახმარება, რათა ისინი, უბრალოდ ხელიდან არ გამოგვეცალონ. მე არ ვთვლი ამას პოპულისტურ ნაბიჯად, კარგია რომ ხელისუფლება, ბოლოს და ბოლოს, დაფიქრდა ამ საკითხზე“,** — აცხადებს გიორხელიძე.

**გიორგი ბექაური**

◉ პროტესტი

# ბინათმშენებლობით დაზარალებულების აქცია მერიასთან

**კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებულები დედაქალაქის ხელისუფლებისგან ხუთი კორპუსის დასრულებას, ასევე კომპენსაციების დარიგებას ითხოვენ.**

**კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულთა ცენტრ „ერთობის“ წევრებმა გუშინ თბილისის მერიის შენობასთან მორიგი აქცია გამართეს. აქციაში დაზარალებული 30-ზე მეტი პირი მონაწილეობდა.**

მათი განცხადებით, არ სრულდება პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ გამოცემული ბრძანება 3226, რომლითაც მაშინდელმა ფინანსთა მინისტრმა კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებულთა დასაკმაყოფილებლად პროგრამა შეიმუშავა. ამასთან, ისინი აცხადებენ, რომ 2005 წლის დედაქალაქის ბიუჯეტში ოთხი კორპუსის დასასრულებლად გამოყოფილი იყო 3 მლნ ლარი, რომელიც აღნიშნულ საქმეს არ მოხმარდა და გაურკვეველია, თანხები რაში დაიხარჯა.

ასევე, 2010 წელს თბილისის მერიის მიერ დაიწყო კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებულთა მიწის ნაკვეთებით კომპენსირება. ამ მიზნით განაცხადი 1300-მდე ოჯახმა შეიტანა, თუმცა მათგან მხოლოდ 300 ოჯახი დაკმაყოფილდა. გაურკვეველი მიზეზის გამო მიწის



ნაკვეთების კომპენსაციის სახით გაცემის პროცესი შეწყდა.

კოოპერატიული ბინათმშენებლობებით დაზარალებულები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ამ მიზნით შექმნილი სახელმწიფო კომისიის მუშაობის გამო. ისინი მოითხოვენ, მოხდეს დედაქალაქში ხუთი კორპუსის მშენებლობის დასრულება, კომპენსაციის სახით გაიცეს მიწები, ან სურვილის შემთხვევაში დაზარალებულებმა მიიღონ ფულადი კომპენსაცია.

◉ მოგმართავთ განმეორებით

# თქვენი დახმარების იმედი გვაქვს!

**ბატონო პრეზიდენტო!**

**ამ წერილს ქართველი ომის ვეტერანები კიდევ ერთხელ გწერთ, ადამიანები, რომელთა ცხოვრება არც ომიანობის და არც მშვიდობიანობის ჟამს არ არის დალხინებული. სხვამ ვინ უნდა იცოდეს, თუ არა თქვენ, თუ რა მძიმე ცხოვრებით ვიცხოვრეთ დღემდე, ჩვენ ხომ საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხარჯზე (სახელოვანი წინაპრების მსგავსად), აქამდე მოვიყვანეთ ჩვენი ქვეყანა.**

ბატონო მიხეილ! თქვენი ყოველი სატელევიზიო გამოსვლა და ხალხთან შეხვედრა იმით იწყება და მთავრდება, თუ როგორ გაუადვილოთ და გაუუმჯობესოთ ცხოვრების პირობები ჩვენნაირ გაჭირვებულ, სოციალურად დაუცველ ადამიანებს, როგორ გადააქციოთ საქართველო ეკონომიკურად ძლიერ, თავისუფალ, ერთ-ერთ წარმატებულ და ცივილიზებულ ქვეყნად. საქართველოს ვეტერანებს, ძველ და ახალ თაობას, ჩვენი ოჯახის წევრებს გვჯერა თქვენი გულწრფელობის.

დღეს ომის ვეტერანთა ჯანმრთელობა დამოკიდებულია იმ მეტად მნიშვნელოვან სამედიცინო დაწესებულებაზე, რომელსაც ომის ვეტერანთა ჰოსპიტალი ჰქვია და რომელიც ერთადერთი უნიკალური სამკურნალო სამედიცინო დაწესებულება იყო მთელ ამიერკავკასიაში. ეს ჰოსპიტალი (იამანიძის ქ. №3ძ დღეს საქართველოში რეგისტრირებულ 80 ათას ვეტერანს ემსახურება, მათ შორის სოციალურად დაუცველ პირებსაც. ჰოსპიტალის ექიმებს, რომელთა ხელფასი 200 ლარს არ აღემატება, მრავალი პაციენტის სიცოცხლე გადაურჩენიათ. მედპერსონალის და-



მოკიდებულება ჩვენ მიმართ იმდენად გულისხმიერი და გულწრფელია, რომ ზოგჯერ მოვალეობის ფარგლებსაც კი სცილდება და ქველმოქმედებას უტოლდება. ყოფილა უსახლკარო და უპატრონო პაციენტების საავადმყოფოს ჭერქვეშ შეფარების ფაქტებიც. საავადმყოფოს ხელმძღვანელობას შენობაში აფხაზეთიდან დევნილი ოჯახებისთვისაც გამოუყვიათ დროებითი საცხოვრებელი ფართობი. ასეთი დევნილები დღესაც ცხოვრობენ ჰოსპიტლის ჭერქვეშ.

საავადმყოფოს მედპერსონალსა და ვეტერანებს შორის წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული თბილი და კეთილმოსურნე ურთიერთობა უკვე ტრადიციად იქცა.

ცნობილია, რომ სექტემბრიდან საპენსიო ასაკის ინვალიდები სადაზღვევო სისტემაზე გადავდივართ, მაგრამ იმ ვეტერანებისთვის, ვისაც მრავლობითი ქრონიკული დაავადებები აწუხებთ, სადაზღვევო მკურნალობა შეზღუდულია (ლიმიტირებულიაძ. არადა, ჩვენ ჯანმრთელობის მუდმივ შემოწმებას ვსაჭიროებთ. ჩვენნაირ გაჭირვებულ ადამიანებს ძვირადღირებულ კერძო კლინიკებში მკურნალობაზე ხელი არ მიგვიწვდება. ასეთ დროს იმედად ისევ ომის ვეტერანთა ჰოსპიტალი გვრჩება. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საავადმყოფოს შენობა ძალზე სავალალო მდგომარეობაშია. მოძველებული კომუნიკაციები, ავარიული კედლები და ჭერი ელემანტარულ ჰიგიენურ პირობებსაც ვერ აკმაყოფილებს. ჰოსპიტლის პროფესიონალ ექიმებს მოძველებული აპარატურა ხელს უშლის მუშაობაში.

ამ ორიოდე წლის წინათ, ბატონო პრეზიდენტო, თავადაც ბრძანდებოდით ჰოსპიტალში და ეს ყველაფერი თვითონ ნახეთ, დახმარებასაც დაგვპირდით. გაჩნდა პერსპექტივა საავადმყოფოს ახალ შენობაში განთავსებისა. ჯანდაცვის მაშინდელმა მინისტრმა ა. ურუშაძემ გვაჩვენა ჩვენ, ვეტერანებს და აქაურ ექიმებს ახალი, გარემონტებული, კეთილმოწყობილი შენობა, რომელიც ომის ვეტერანთა ჰოსპიტალი გახდებოდა, მაგრამ, გაურკვეველი მიზეზების გამო ეს დღემდე ვერ მოხერხდა.

ბატონო პრეზიდენტო! ომის ვეტერანებს ისევ და ისევ თქვენი დახმარების იმედი გვაქვს. გვერწმუნეთ, ჩვენ კიდევ ვჭირდებით ქვეყანას. გვინდა, გვჯეროდეს, რომ პირადად თქვენი მონდომებითა და დახმარებით, ჰოსპიტალს შეუნარჩუნდება თავისი ფუნქცია, კეთილმოწყობილ, თანამედროვე ტიპის შენობასაც ველირსებით და ვეტერანებს მკურნალობის ნორმალური საშუალება მოგვეცემა.

საქართველოს ომისა და სამხედრო
ძალების ვეტერანთა სახელით

**ლევან ჩაჩუა, შოთა გამყრელიძე, გიორგი ზედგენიძე, როლანდ სინატაშვილი, გიგლა ხარებავა, ომარ ელაშვილი, ზაურ ლომიძე, შოთა ბუაძე, გიორგი ბოგველიშვილი, მიხეილ აბესაძე, დავით კვაჭაძე, ბიძინა აფრასიძე, მერაბ ბერაძე, ვასილ ცომაია, მამია ურუშაძე, კორნელი აბზიანიძე**

◉ ანალიტიკოსის ანალიზი

## შოთა უტიაშვილმა შსს დატოვა

**შოთა უტიაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი აღარ არის. ამის შესახებ უტიაშვილმა თავად განაცხადა.**



უტიაშვილის განმარტებით, მისი მომავალი სამუშაო ადგილის შესახებ ჯერ ინფორმაცია არა აქვს და არც ის იცის, ვინ დაიკავებს მის ადგილს.

შსს-ში საკადრო ცვლილებები მინისტრის შეცვლას უკავშირდება.

**ინტერპრესნიუსი**

№127. ხუთშაბათი, 5 ივლისი, 2012 წელი.

რამდენად ეფექტიანი იქნება?

# ქარწაღებული ხიდის მამა მინისტრის პორტფელით ჯილდოვდება

**მიხეილ სააკაშვილის გუნდი ახალი ინიციატივით გამოდის — შეიქმნა ახალი სახელმწიფო მინისტრის აპარატი, რომელსაც დასაქმების მინისტრი უხელმძღვანელებს. როგორც ჩანს, ხელისუფლებაში ყოფნის რვა წლის შემდეგ სააკაშვილის გუნდი მიხვდა, რომ დასაქმების პრობლემა ქვეყანაში ისევ აქტუალურია და სავარაუდოდ, მათი ასეთი გამჭრიახობა მოახლოებულმა არჩევნებმა და ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ გამოიწვია. შეგახსენებთ, მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა თავისი საარჩევნო პროგრამა გაახმოვანა, სადაც პრიორიტეტებად ჯანდაცვა, დასაქმება და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობაა განსაზღვრული, ხელისუფლებამ პრაქტიკულად ეს პროგრამა გადაამღერა და ოდნავ სახეცვლილი შემოგვთავაზა. სავარაუდოდ, დასაქმების მინისტრის აპარატის შექმნაც ხელისუფლების ამ ახალი სტრატეგიის ნაწილია.**

კონკრეტულად რას გააკეთებს დასაქმების მინისტრი, ჯერაც ბუნდოვანია. ერთი, რაც ამ ინიციატივის გაჟღერების შემდეგ ცალსახად ითქვა, არის ის, რომ პრაქტიკულად ამ უწყების შექმნით ხელისუფლებამ დასაქმების კუთხით ეკონომიკის სამინისტროს წარუმატებლობა აღიარა. რა მეთოდებით შეებრძოლება დასაქმების სახელმწიფო მინისტრი უმუშევრობას, ამას ალბათ მომავალი გვიჩვენებს. ამ უწყების შექმნასთან დაკავშირებით კომენტარი პარლამენტის ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა გააკეთა და არ გამორიცხა, რომ „შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან „შრომის" კომპონენტი გამოცალკევდეს.

**„შრომის კომპონენტს, დღეისთვის შრომის ბაზრის აღრიცხვის, უმუშევრობის სტატუსის ან შრომის ბირჟის დადგენის ფუნქცია არ გააჩნია და, შესაბამისად, სწორი იქნება, თუკი ჯანდაცვის სამინისტრო ამ კომპონენტისგან გამოთავისუფლდება და სახელმწიფო მინისტრის კომპეტენციის ფარგლებში მოექცევა",** — აცხადებს წერეთელი. **ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ახალი სახელმწიფო მინისტრი უმუშევართა აღრიცხვასა და მათთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭებას შეუდგეს.** აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს პარლამენტმა ახალშექმნილი სახელმწიფო მინისტრის აპარატის შენახვისთვის ხარჯები დაამტკიცა და როგორც ირკვევა, სახელმწიფო მინისტრის აპარატის დაფინანსება საგარეო ვალის მომსახურებისთვის განკუთვნილი თანხებიდან მოხდება.



დასაქმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტზე ვანო მერაბიშვილმა ბიზნესმენი პაატა ტრაპაიძე წარადგინა. ტრაპაიძე კომპანია „კავკასუს როუდ პროჯექტის" დაამარსებელია და 2010 წელს იგი სააკაშვილმა ღირსების ორდენითაც დააჯილდოვა. „კავკასუს როუდ პროჯექტი" ის კომპანიაა, რომელსაც სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით არაერთი ტენდერი აქვს მოგებული. მაგალითად, ამ კომპანიის შესრულებულია სატრანზიტო კვანძები და ხის საფეხმავლო ხიდი გმირთა მოედანზე, აჭარაში ქვემო სამება-ზემო სამების საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ნატახტარი-აღაიანი-იგოეთის მონაკვეთი, ავტომაგისტრალი ვარაზისხევიდან თამარაშვილის ქუჩამდე, ანაკლია-განმუხურის ხის საფეხმავლო ხიდი მდინარე ენგურზე, მესტიის აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკი, სპორტულ-დასასვენებელი კომპლექსი და რესტორანი ილიას ტბაზე, ასევე მთავრობის სახლის მშენებლობა ქალაქ ქუთაისში. ამჟამად კი „კავკასუს როუდ პროჯექტი" თბილისში, მტკვრის მარჯვენა ესტაკადებს აკეთებს და ქუთაისში საქართველოს პარლამენტის შენობას აშენებს.

**შეგახსენებთ, რომ აქ ჩამოთვლილი პროექტებიდან რამდენიმემ კრახი განიცადა. კერძოდ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ საზეიმოდ გახსნილი ანაკლია-განმუხურის 500-მეტრიანი ხიდი ქარმა წაიღო. მაშინ ითქვა, რომ ქარმა მხოლოდ ხიდის ნაწილი წაიღო, რადგან ანაკლიის საკურორტო ქალაქად გამოცხადების მეორე დღესვე ის დაშალეს და ერთი ნაწილი სვანეთში წაიღეს. აღმოჩნდა, რომ ტრაპაიძის აშენებული ხიდი პრეზიდენტმა დაიწუნა და მის ადგილას სხვა ხიდის აგება ბრძანა, მაგრამ რამდენადაც ცნობილია, ეს ბრძანება ჯერ არ შესრულებულა.**

„კავკასუს როუდ პროჯექტის" მეორე წარუმატებელი პროექტი ქუთაისში მშენებარე პარლამენტის შენობაა. შეგახსენებთ, 7 ივნისს პარლამენტის მშენებარე შენობის ხარაჩო ჩამოინგრა და ერთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მაშინ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მომხდარი უბედური შემთხვევის გამო მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დამდგარიყო, მაგრამ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ მაშინ პროკურატურამ ტრაპაიძის კომპანიის საქმის მწარმოებელი დავით ქავთარაძე დააკავა, ხოლო სახელმწიფო სამსახურებმა მომხდარზე ყველანაირი პასუხისმგებლობა მოიხსნეს. ახლა კი ცნობილი ხდება, რომ თავად კომპანიის დამფუძნებელი პაატა ტრაპაიძე მინისტრად მოგვევლინება. ამდენად, მას „დამსახურებები" დაუფასეს და ამ თანამდებობით დააჯილდოვეს.

გარდა ზემოთ ხსენებული საქმიანობისა, „კავკასუს როუდ პროჯექტს" ხის გადამამუშავებელი საამქროც აქვს და ე.წ. „ფინური სახლების" მსგავსი ნაგებობების მშენებლობითაც არის დაკავებული.

რას ფიქრობენ ქართველი ექსპერტები ახალი უწყების შექმნაზე, რამდენად ეფექტიანი იქნება იგი, და საერთოდ, რას უკავშირდება ეს ინიციატივა, ამასთან დაკავშირებით **for.ge** ექსპერტებს ესაუბრა.

ეკონომიკურ საკითხთა ექსპერტი ლადო პაპავა ახალი სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნას მომავალ საპარლამენტო არჩევნებს უკავშირებს. მისი თქმით, ვინაიდან ბიძინა ივანიშვილი თავის საჯარო გამოსვლებში მუდმივად ხაზს უსვამს მცდარ სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელსაც წლების განმავლობაში სააკაშვილის გუნდი ატარებდა და ივანიშვილი ხალხს დასაქმებას და სოფლის პრობლემების გადაჭრას პირდება, ექსპერტის აზრით, ახალი მინისტრის თანამდებობის შექმნა ამაზე ხელისუფლების საპასუხო ნაბიჯია.

**„პრაქტიკულად სააკაშვილმა ივანიშვილის თამაშის წესები მიიღო. ეს იმაშიც გამოიხატება, რომ დღეს ახალი პრემიერ-მინისტრი ივანიშვილს ახალი, უფრო მასშტაბური სოციალური პროექტების განხორციელებაში ეჯიბრება. ამდენად, გაიმართა აუქციონი, ვინ მეტს დაასახელებს, მაგრამ სანამ ამ დასახელების უკან კონკრეტულ გათვლებს არ ვნახავთ, მანამდე არც ერთი ასეთი განცხადება არ შეიძლება სერიოზულად შეფასდეს. მე ველი პროგრამებს, უფრო მეტად ივანიშვილის გუნდისგან, რადგან ვიცი, იქ ეკონომისტები არიან. ნაკლებად ველი ამას მთავრობისგან, რადგან რვა წელია მათ პროგრამა არ დაუწერიათ და რაღა მაინცდამაინც ახლა დაწერენ? თუმცა თუ დაწერენ, ძალიან გამიხარდება",** — აცხადებს ლადო პაპავა **for.ge**-სთან საუბარში.

მისი თქმით, მსგავსი ტიპის სამინისტროს პრეცედენტი მსოფლიოში არსებობს. ლადო პაპავა აღნიშნავს, რომ დღეს საქართველოში შრომის რეგულირების ფუნქციები შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აქვს და ახლა საუბარია, რომ ეს ფუნქციები დასაქმების მინისტრის აპარატს გადაეცემა. ექსპერტი მიიჩნევს, რომ არჩევნებამდე ეს სამინისტრო რაიმე ეფექტიანს ვერ გააკეთებს.

**„საქმე ის გახლავთ, რომ ახლა პარლამენტს მხოლოდ ერთი სასესიო კვირა დარჩა, ისიც — მხოლოდ რიგგარეშე სხდომისათვის. დიდი ალბათობით, აგვისტოში პარლამენტი არ შეიკრიბება, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნები ოქტომბერშია, სესიები შემოდგომაზეც არ იქნება. ასე რომ, რაიმე სერიოზული დატვირთვა ამ სამინისტროს უბრალოდ ვერ ექნება",** — აცხადებს ლადო პაპავა.

იხ. 5 გვ.




ინფორმაცია

## გიორგი თარგამაძე: პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ერთი სიტყვითაც არ ახსენებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას

**„პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი მინისტრობის კანდიდატებთან ერთად საუბრობს ქვეყნის 4-წლიან მომავალზე და ერთი სიტყვითაც არ ახსენებს მთავარ სატკივარს - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, რაც არის ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მტკივნეული ნაწილი, პოლიტიკის, ცხოვრების, მომავლის და აწმყოსი" — განაცხადა თარგამაძემ.**

**მისვე თქმით, სამთავრობო ტრიბუნაზე დღეს მთავრობის ნაცვლად საარჩევნო შტაბს ხედავს, თუმცა მთავრობის პროგრამა საარჩევნოდაც არ არის გათვლილი.**

**„ნებისმიერი პასუხისმგებლობის მქონე ძალა იმაზე მაინც დაფიქრდებოდა, რომ უმუშევრობასთან, დასაქმებასთან თუ კუჭის სატკივართან ერთად, ამ ქვეყანაში ცხოვრობს ის ხალხი, რომელთათვისაც ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობა, თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების აშენება, ქვეყნის გაერთიანება და გამთლიანება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთ დღეს ადამიანების 1000-ლარიანი დაპირებებით მოხიბვლა", — დასძინა თარგამაძემ.**

ინტერპრესი

№127. ხუთშაბათი, 5 ივლისი, 2012 წელი.

# გარე საფრთხეები და შექმნილი ვითარება

**ახლოვდება საპარლამენტო არჩევნები და მასთან ერთად ინტენსიური ხდება გარე საფრთხეებზე აქცენტირება. საფრთხე, რომელიც საქართველოს ემუქრება, ცხადია, რუსეთიდანაა. სხვა ქვეყანა ან ტერორიზმი რომ დამესახელებინა, დისონანსს შევიტანდი ხელისუფლება-ოპოზიციის „წინასწარმეტყველებაში“, უფრო ზუსტად მოლანდებაში, რომელიც სინამდვილესავით თავს ეხვევა ცალმხრივი ინფორმაციით გადაჯერებულ საზოგადოებას. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ყველაზე დიდი საფრთხე, რაც საქართველოს ემუქრება, ქვეყნის შიგნით, ხელისუფლებაშია დაბუდებული და არა ქვეყნის გარეთ.**

საფრთხემ, ანუ შინაგანმა და არა გარეგანმა, დამოუკიდებლობის ოცწლიან ციკლში ორჯერ წამოჰყო თავი და ორივეჯერ სავალალო შედეგით დასრულდა საქართველოსთვის. პირველს მოჰყვა კომუნისტების დროს თითქმის 70 წლის განმავლობაში, ავტონომიურ სუბიექტებად (აფხაზეთის ა/რ და სამხრეთ-ოსეთის ა/ოძ არსებულთა ფაქტობრივი ჩამოშორება.

ეს „ბედნიერება“ 1992 წელს მოხდა — თბილისის მძიმე ომის შემდეგ დაშლილი სახელმწიფო მმართველობის ჟამს, პურზე გრძელი რიგების პერიოდში, უშუქობის, სიცივის, კაცთა კვლის დროს. ასეთ ჟამს ქვეყნის ერთად შეკვრის იდეა მალამოსავით წაადგებოდა საზოგადოებას, და ასეთ სტიმულად აფხაზეთი, ანუ საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული მეამბოხე ავტონომია აღმოჩნდა.

1992 წელს, ცხადია ერის გაერთიანების სურვილის გარდა, ბევრი რამ სხვაც იყო, უპირველესად ამბიციები, ცენტრის ქედმაღლობა რეგიონის (ავტონომიისძ მიმართ, ცენტრის უცოდინარობა მსოფლიოს ფედერაციულ ინსტიტუტებთან მიმართებაში და სხვა.

**სამხედრო-პოლიტიკური ნაბიჯი მცდარი გამოდგა, უფრო ზუსტად — სავალალო, რომელსაც ნებისმიერ ქვეყანაში ხელისუფლების ღალატად განიხილავდნენ და მას სასჯელის უმაღლესი ზომით დასჯიდნენ. მაგალითისათვის ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებთან დაკავშირებით არგენტინა-ინგლისის კონფლიქტიც კმარა. არგენტინამ ომი წააგო, სამხედრო ხუნტის ხელმძღვანელმა გენერალმა გალტიერიმ — თავი. ის და მისი კოლეგები გაასამართლეს და ციხეში გაამწესეს.**

საქართველოში მსგავსს არ ჰქონია ადგილი, პირიქით ყველა — ხელისუფლება და ოპოზიცია დაირაზმა რუსეთის გასაშავებლად — „რომ არა რუსეთი, ომს ჩვენ მოვიგებდითო“, — ასე გაჰყვიროდნენ ისინი.

**დაუსჯელობამ და საქვეყნო საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებამ გამოიწვია მეორე აფეთქება — ცხინვალის ომის სახით, რასაც 1992 წელს ფაქტობრივად დაკარგულის, იურიდიულად დაკარგვა მოჰყვა. 2008 წლის აგვისტოს სამარცხვინო სამხედრო-პოლიტიკური ავანტიურის შედეგად დაიკარგა ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტზე მეტი. რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა, რითაც ისედაც მცირემიწიან ქვეყანას ერთობ დიდი ნაჭერი ჩამოაჭრა — ალბათ, მრავალი წლით, თუ სამუდამოდ არა.**

**მხოლოდ ბრიყვს, ხელისუფლების მიერ გამოთაყვანებულს შეუძლია იფიქროს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების, საზოგადოების დახმარებით შესაძლებელი გახდება დაკარგულის დაბრუნება.**

ხელისუფლების მიერ 2008 წელს გადადგმული საბედისწერო, პროვოკაციულ-ავანტიურისტული ნაბიჯი არავის შეუფასებია, შემოქმედნი არავის დაუსჯია. პირიქით, ისე, როგორც 1992 წელს, ხელისუფლება-ოპოზიცია, საზოგადოება ერთად დადგა და ნაცვლად ნამდვილი დამნაშავის გამოვლინებისა, ხელი რუსეთისაკენ გაიშვირა. ამ „კეთილშობილურ“ საქმეში ხელისუფლებას გვერდში დაუდგა დასავლეთის, კერძოდ აშშ-ს გეოპოლიტიკური ინტერესები, რაც 1992 წელს არ ყოფილა. მაშინ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს შესახებ, ცოტა თუ იცოდნენ.

დღეს სხვა ვითარებაა. კავკასია და კასპიის ზღვა ლამის აშშ-ს სტრატეგიული ინტერესების ზონადაა გამოცხადებული. ეს ქვეყანა დაბეჯითებით ცდილობს და ახერხებს კიდევაც კავკასიაში ფეხის მოკიდებას, ცდილობს და ნაწილობრივ ახერხებს კიდევაც რუსეთის გავლენის ამოძირკვას ამ რეგიონიდან.

მაგრამ არის რუსეთი ესოდენ გულუბრყვილო ან სუსტი, რომ უყოყმანოდ დაემორჩილოს გადამთიელის სურვილს? ამ კითხვიდან გამომდინარე რუსული სამხედრო-პოლიტიკური ქმედება გაცილებით მკაცრ შეფერილობას იღებს, ვიდრე ეს იყო თუნდაც 4 წლის წინათ — 2008 წლის აგვისტოში.

გარე საფრთხეები — ნაცნობი თემაა. გახსოვთ, ალბათ, რა ინტენსიურობით გაჰყვიროდა სააკაშვილი რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის შესახებ. იყვირა, იყვირა და, როგორც ამბობს, იძულებით ომიც დაიწყო — თავდაცვის მიზნით.

გარე საფრთხეები — ნაცნობი თემაა. გახსოვთ, ალბათ, რა ინტენსიურობით გაჰყვიროდა სააკაშვილი რუსეთის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის შესახებ. იყვირა, იყვირა და, როგორც ამბობს, იძულებით ომის დაიწყო — თავდაცვის მიზნით.

დღეს სხვა ვითარებაა, სხვა საფრთხეებია მოახლოვებული — საპარლამენტო არჩევნების სახით — სააკაშვილისა და ნაცებისთვის ომზე უარესი. ხელისუფლებაზე გაგულისებული საზოგადოება, აშკარად განეწყო ხელისუფლების მოწინააღმდეგისათვის ხმის მისაცემად. ხელისუფლება ხედავს ყველაფერს და ცდილობს ვითარების თავის სასარგებლოდ შეცვლას, მაგრამ ამ პროცესში ნაცვლად გონივრული ნაბიჯისა, უგუნურების კორიანტელს ახვევს - პრიმიტიულს, უცნაურს, სადამსჯელოს, ბრიყვულს.



**მხოლოდ ბრიყვი თუ მოიფიქრებს სატელევიზიო ანტენების ჩამორთმევას ან შუასაუკუნეების ბაგრატის ნანგრევების 21-ე საუკუნის მეორე დეკადაში აღდგენას იმ საუკუნეებისთვის მიუღებელი ტექნოლოგიური სამშენებლო ოპერაციით.**

იუნესკოს სიიდან ბაგრატს არ ამოიღებენო — გვახარა სააკაშვილმა, თითქოს მარტო იუნესკოში იყოს საქმე. სამწუხაროა, რომ ქვეყნის მეთაური ჭარბად პრიმიტიულია ისტორიის მიმართ. „ჩვენ ნანგრევები არ გვჭირდება, ჩვენ აღდგენილ-ამოქმედებული ტაძარი გვინდაო“, — ბრძანა მან.

უმალ გამახსენდა რომის კოლიზეუმი და ძველი რომის ნანგრევები. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ სააკაშვილის მსგავსი აზრი რომ ბერლუსკონის მოსვლოდა ან მონტის მოუვიდეს. ესოდენ ექსკლუზიური ფანტაზია არც მუსოლინის მოსვლია თავში, რაც მას მოუვიდა და განახორციელა კიდევაც, ძველი რომის მოშორებით, ახალ უბანში ფუნდამენტური სახლების მშენებლობა იყო.

**ხელისუფლების დაკარგვის შიში უფრო ძლიერია სააკაშვილსა და ნაცებში, ვიდრე ქვეყნისათვის გარე საფრთხე. პირიქით, გარე საფრთხე, ოდნავ რეალობაში გადასული, მალამოსავით წაადგება სააკაშვილის ოცნებას — ხელისუფლების გახანგრძლივებას.**

აი, ამაზე წერენ და ბაასობენ ექსპერტები და პოლიტიკოსები, ცხადია, რუსეთის მოშველიებით, რუსული ფაქტორის ამოქმედებით. უპირველესად სახელდება რუსეთის მიერ დაგეგმილი სამხედრო წვრთნები „კავკასია-2012“. გახსოვთ ალბათ, „ქვეყნის უსაფრთხოებაზე ფიქრით გათანგული და ღამენათევი“ ჟურნალისტის კითხვა თბილისში მყოფი კლინტონისათვის. სახელმწიფო მდივანმა მიუკიბ-მოუკიბავად ჩათვალა, რომ კითხვა უადგილო იყო და დაახლოებით ასეთი პასუხი გასცა — თქვენ, თქვენს შიდა ყოფაზე იფიქრეთ და ყურადღებას ნუ აქცევთ, რაც თქვენს გარეთ ხდებაო.

და მაინც რასთან გვაქვს საქმე?

სამხედრო სწავლება „კავკასია-2012“ გეგმიურად ითვლება, მაგრამ, როგორც ჩანს, გამოწვეულია ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და სამხედრო პირობებით, რაც არის კასპიის ზღვის აუზში, ირანში, სირიაში, კავკასიაში — ყარაბახის კონფლიქტიდან გამომდინარე.

სწავლების პირველი ეტაპი ფაქტობრივად დაიწყო. პირველ ეტაპზე დაიხვეწება ამოცანები ჯარების დახურული მართვის ამოცანებთან დაკავშირებით, საინფორმაციო ტექნოლოგიის და რადიოტექნიკური სამუშაოების გამოყენებით. სასწავლო-საბრძოლო ამოცანების დახვეწას გაივლიან ის სამხედრო კონტინგენტები, რომლებიც განლაგებულია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, აგრეთვე სომხეთში დისლოცირებული 102-ე სამხედრო ბაზის სამხედროები. სამხედრო მანევრების დაწყების დროს ჯარი გადავა საბრძოლო მზადყოფნის უმაღლეს ფაზაზე.

საყურადღებოა ისიც, რომ მანევრებში მონაწილეობას მიიღებს სომხეთიც. ამ ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა სეირან ოგანიანმა თქვა, რომ მანევრების დროს ქვეყანა გადავა სამხედრო მდგომარეობაზე, ჩაატარებს მობილიზაციას მტრის იერიშის მოსაგერიებლად, აგრეთვე პრეზიდენტი მიმართავს კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაციას (ოდკბძ დახმარებისთვის. სამხედრო მანევრების დროს იგეგმება რუსეთის დესანტის გადასხმა სომხეთში.

ამ ფონზე ერთობ მასშტაბურად გამოიყურება კასპიის ზღვის მანევრები. ტაქტიკურ სწავლებაში მონაწილეობას მიიღებს 15 გემი. მათი მიზანია წყალქვეშა-დივერსიულ დაჯგუფებასთან ბრძოლა, ანტისაჰაერო თავდაცვის სისტემის გამოცდა, საჰაერო სამიზნეთა განადგურება. გემები მონაწილეობას მიიღებენ კუნძულების საზღვაო ბლოკადაში და საარტილერიო ცეცხლს გახსნიან ე.წ. ტერორისტთა ბაზების მიმართულებით.

სამხედრო სწავლება „კავკასია-2012“ გეგმიურად ითვლება, მაგრამ, როგორც ჩანს, გამოწვეულია ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და სამხედრო პირობებით, რაც არის კასპიის ზღვის აუზში, ირანში, სირიაში, კავკასიაში — ყარაბახის კონფლიქტიდან გამომდინარე.

კასპიის ზღვა არა მარტო ენერგომატარებლებითაა ცნობილი, არამედ ნარკოტრეფიკითაც. სწორედ მასზე გადის ნარკოტიკების ერთ-ერთი მარშრუტი — ავღანეთი-ევროპა. რაც შეეხება ენერგეტიკას — ის არაერთხელ გამხდარა არა მარტო ცხარე კამათის საგანი, არამედ სამხედრო შეხლა-შემოხლისაც.

უახლოეს ხანებში კასპიის ზღვაში გამოჩნდება ახალი სამხედრო გემები, რომლებიც აამაღლებს კასპიის ფლოტილიის ბრძოლისუნარიანობას. მათ რიცხვს მიეკუთვნება მცირე საარტილერიო გემი „ვოლგოდონსკი“ და სარაკეტო ხომალდი „დაღესტანი“. ეს უკანასკნელი აღჭურვილია უნივერსალური სარაკეტო სისტემით „კალიბრი-ნკ“, რომელსაც შეუძლია მაღალი სიზუსტის მქონე წყალქვეშა რაკეტების გამოყენება, ასევე წყალზედა სანაპირო ზოლის დაბომბვა, რადიუსი — 300 კმ. როგორც ამბობენ, ორივე გემი შეიძლება ჩაერთოს „კავკასია-2012“ მანევრებში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევს კასპიის ზღვასა და კავკასიაში საკუთარი თავდაცვის სტრატეგიის განვითარებას. მოსკოვი ცდილობს, დაიცვას თავისი ინტერესი ამ რეგიონში სხვადასხვა გზებით, რომელთა შორის ძალის გამოყენებას დიდი ყურადღება ენიჭება.**

როგორც აღვნიშნე, სამხედრო წვრთნას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება დაძაბული ახლო აღმოსავლეთის ვითარების გამო. სირია დაძაბულობის უმთავრესი ობიექტია, სადაც, რა ხანია, მძვინვარებს სამოქალაქო ომი. სირიის განმათავისუფლებელი არმია — შეიარაღებული თურქეთის, ყატარის, საუდის არაბეთის მიერ არა მარტო მედგარ წინააღმდეგობას უწევს სამთავრობო ძალებს, არამედ იერიში მიაქვს დედაქალაქ დამასკოს სასიცოცხლო ობიექტებზე. ასადის ხელისუფლება განაგრძობს წინააღმდეგობას და ცდილობს პოზიციების განმტკიცებას.

ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ სირიის საზღვრებში შეჭრილი თურქეთის მზვერავი თვითმფრინავის ჩამოგდების ისტორია. სირიამ ყველას, განსაკუთრებით დასავლეთს დაანახვა, რომ მას შეუძლია საკუთარი ქვეყნის საზღვრების დაცვა. რუსულმა საჰაერო თავდაცვითმა სისტემამ შესანიშნავად იმოქმედა, ჩამოაგდო რა თურქული სადაზვერვო თვითმფრინავი, რომლის ჩამოგდება მხოლოდ მაღალი მგრძნობიარობის რაკეტებით არის შესაძლებელი. ამ აქტით სირიამ დაარწმუნა დასავლეთი, რომ ის ლიბია არ არის და მასზე საჰაერო თავდასხმის შემთხვევაში დანაკარგი დიდი იქნება.

იძაბება ვითარება ირანთან მიმართებაშიც. აშშ-ს მიერ სხვა ქვეყნებზე თავსმოხვეული ემბარგო 1 ივლისიდან შედის ძალაში, რაც კიდევ უფრო გააუარესებს ირანის ეკონომიკურ მდგომარეობას. „ნავთობის ემბარგო უდავოდ ხელს შეუშლის ირანსა და ექვსეულს შორის არსებული მოლაპარაკების პროცესს“, — განაცხადა ირანის დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯალილიმ. ბოლო შეხვედრა მოსკოვში გაიმართა და, ფაქტობრივად, უშედეგოდ დასრულდა. მოლაპარაკების ფორმატთან დაკავშირებით, ირანს ახალი წინადადება აქვს — სამეულის შეხვედრა — ირანის, რუსეთის და აშშ-ს მონაწილეობით.

სანქციების შესახებ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ წლის დასაწყისში იქნა მიღებული. იანვარშივე ევროპულ კომპანიებს აეკრძალათ ირანის კონტრაგენტებთან ახალი კონტრაქტების გაფორმება. გასულ წელს ნავთობისა და გაზის გაყიდვით ირანმა 75 მილიარდი დოლარი მიიღო, ეს ქვეყნის სავალუტო შემოსავლების სამი მეოთხედია.

გარდა აღნიშნული სანქციისა, დასავლეთში მზადდება სანქციების ახალი პაკეტი — აშშ და ევროკავშირი აპირებენ ემბარგო გამოუცხადონ იმ გემებს, რომლებიც შედიან ირანის პორტებში, ანუ არ შეუშვან თავიანთ პორტებში ის გემები, რომლებიც შევლენ ირანის პორტებში. თუ ასეთი რამ მიიღეს, ის მომასწავებელი იქნება ფართომასშტაბიანი ბლოკადისა. ამის შემდეგ მხოლოდ სამხედრო ოპერაცია რჩება.

**სირიის სამოქალაქო ომი, თურქეთის მიერ სირიის საზღვართან მძიმე ტექნიკის გადასროლა, ირანთან დაკავშირებული ვითარება, კასპიის ზღვის პრობლემები, აზერბაიჯან-სომხეთს შორის სასაზღვრო შეხლა-შემოხლა თავისთავად უბიძგებს რუსეთს სამხედრო მანევრებისაკენ. მან უნდა მოსინჯოს საკუთარი შესაძლებლობები მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში, მაგრამ მოსინჯვა სულაც არ ნიშნავს სხვა ქვეყანაში შეჭრას. ასეთი მხოლოდ პროვოკაციული გამოხდომის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, ისეთის, რაც 2008 წელს იყო.**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

დიდი პაპის ანდერძით

# ფოთი საქართველოს ფილტვია

## სალომე ზურაბიშვილი „ფეისბუქში" განცხადებას ავრცელებს

მივმართავ ფოთს და ფოთელებს: თუ არის ადგილი საქართველოში უფრო ახლოს ჩემს გულთან, გარდა თბილისისა, სადაც ყველა ჩემები ვერაზე დაიბადნენ და გაიზარდნენ, ან კიდევ კახეთზე და სამეგრელოზე, სადაც ოჯახის ფესვები ღრმად ჩადის, ეს არის სწორედ ფოთი! პაპისაგან, როგორც ანდერძად დატოვებული. ნიკო ნიკოლაძის უზარმაზარი, მართლაც აღმშენებლობითი საქმიანობა, რომელიც მთელ ქვეყანაზე ვრცელდებოდა და ყველა დარგში მატერიალიზდებოდა, ფოთში ყველაზე ნათლად გამოიჩინა თავი. პორტის დაგეგმარებაში თუ სობოროს აშენებაში, ან კიდევ ქალაქის თანამედროვე ევროპულ ქალაქად გადაქცევაში, სანიაღვრეებით და თანამედროვე კომუნიკაციებით... მისი მოღვაწეობა ფოთში ჩემთვის მაგალითია, თუ როგორ უნდა ზრუნავდეს ერზე, რეგიონზე, ქალაქზე თავისი მმართელი – და არა დღევანდელი ხელისუფლების მსგავსად, ყველაფერს ანგრევდე ანადგურებდე, ახალს თუ ძველს... ამიტომ, შურთ მისი უზარმაზარი შემოქმედების და ცდილობენ, გააქრონ და დაავიწყონ ხალხს, რადგანც კონკურენციას ვერ უძლებენ ...

ამ ყველაფრის გამო ფოთის მიმართ მაქვს სპეციალური ვალდებულების გრძნობა – ეს ქალაქი ასე უაზროდ მიტოვებული არ უნდა იყოს, არც ტყუილი დაპირებების მსხვერპლი (თავისუფალი ზონის მაგალითზეძ, ფოთი ნამდვილი განვითარების გეგმის და სერიოზული ზრუნვის ღირსია. სამწუხაროდ, ამ ხელისუფლების ყველა გადაწყვეტილება, დაწყებული ყარსის რკინიგზით და სატრანსპორტო პოლიტიკის უქონლობით, ფოთის პერსპექტივები შავი ზღვის გავლით ევროპის კარი გამხდარიყო, ტყუილად არ იქნა გამოყენებული, დაიკარგა ბევრი კიდევ სხვა რამ, რაც შეიძლება გაკეთებულიყო...

მაგრამ პაპაჩემის ანდერძი მხოლოდ ფოთის სიყვარულით (და დიდი ჯიხაიშისძ და ფოთისთვის ზრუნვით არ შემოიფარგლება... იმასთან საერთო ისიცაა მაქვს – ამას ვამბობ დიდი მორიდებით, მაგრამ დამთხვევებია საინტერესო: სახელმწიფო საქმეს და ინტერესებს გულწრფელად და მთელი ენერგიით ვემსახურეთ, მერე ორივე გაგვაგდეს და დაგვაბრალეს სად კორუფცია და სად – არაკომპეტენტურობაც... ორივე გვაიძულეს წავსულიყავით ქვეყნიდან (სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსძდა ვიპოვეთ მეტი დაფასება და მეტი გასაქანი, ვიდრე სამშობლოში...

დაბოლოს, დაბრუნდა დიდი ნიკო... ამის იქით ვერ ვადარებ მას ჩემს თავს, ვინაიდან ასეთი ამპარტავანიც არ ვარ, მაგრამ მეც კიდევ ერთხელ, უთუოდ დავბრუნდები სამშობლოში. უთუოდ ფოთის სამომავლო გეგმებით დავინტერესდები და უთუოდ, ამ ქვეყნის სამსახურში ისევ ჩავდგები...

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს ფოთის ან სხვა ოლქის მაჟორიტარად ჩემი კანდიტატურის დაყენებას. მე ასეთი აზრი არსად მიხსენებია, პირიქით, ყველგან მაქვს გამოცხადებული, რომ არც ერთი პოსტისთვის არ ვემზადები და არსად ვარ კანდიდატი. მე ან მეტის ან ნაკლების ამბიცია მაქვს და ჯერ კიდევ არ ვიცი როდის მოვა ამის დრო...

ასე რომ, ჩემი სახელით დღევანდელი სპეკულაცია სრულიად უსაფუძვლოა. ან მხოლოდ ჭორებზე აგებული იმათგან, ვისაც რალაც კონკრეტული ადგილი უნდა მიმიჩინოს, ან უფრო ცუდ შემთხვევაში, ვიღაცის ინტერესებს ემსახურება ჩემი ამ ამპლუაში ჩაკეტვა... ჩემს გეგმებს კი – არა. ამ ჭორებში მაინც ერთი ჭეშმარიტება დევს, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ფოთი საქართველოს ფილტვია და ჩვენი მოსავლელია, თუ გვინდა, რომ საქართველომ ხვალ ისუნთქოს და აღზევდეს...




რამდენად ეფექტიანი იქნება?

# ქარწაღებული ხიდის მამა მინისტრის პორტფელით ჯილდოვდება

(მესამე გვერდიდან)

მისი თქმით, ყველაზე მთავარი, რაც ამ სამინისტროს შეუძლია გააკეთოს, შრომის კოდექსის შექმნაა, მაგრამ ახალი შრომის კოდექსი რომც დაიწეროს, ეს პარლამენტი მის დამტკიცებას ვერ მოასწრებს, არჩევნების შემდეგ კი შეიძლება სულ სხვა კონფიგურაციის პარლამენტი მივიღოთ და მთავრობაც შეიცვალოს. ამიტომ ექსპერტი ამ ეტაპზე ამ სახელმწიფო მინისტრის რაიმე განსაკუთრებულ ფუნქციას ვერ ხედავს.

**„საერთოდ, მე ყოველთვის სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი ბიზნესმენების პოლიტიკაში წასვლასთან დაკავშირებით. საქმე ის არის, რომ ბიზნესმენები ყოველთვის განსხვავებულად უყურებენ ეკონომიკის მართვას, ხოლო ეკონომიკის მართვას სჭირდება არა უბრალოდ პოლიტიკოსები, არამედ ძალიან კარგი სახელმწიფო მოხელეები. აქედან გამომდინარე, დასაქმების მინისტრის საქმიანობა (რომელსაც ძალიან კონკრეტული ფუნქციები დაეკისრება), რომელსაც შესაქმნელი ექნება შრომის ბირჟა, დასაქმების სააგენტო და ა.შ. ეს ყველაფერი ნაკლებად არის ბიზნესმენის გასაკეთებელი. აქვე აღვნიშნავ, რომ ნამდვილად არ ვიცი ბატონი ტრაპაიძე რამდენად არის ბუნებით მიზნესმენი, რადგან მას არ ვიცნობ",** – აღნიშნავს ექსპერტი.

ეკონომიკის ექსპერტი **დემურ გიორხელიძე for.ge**-სთან საუბარში ხაზს უსვამს, რომ როგორც წესი, ასეთ მინისტრს უპორტფელო მინისტრს უწოდებენ და ერთადერთი, რაც ასეთ მინისტრს შეუძლია, არის ის, რომ რეალურად აღრიცხოს უმუშევრები და ხელისუფლებას ეს რეალური მონაცემები წარუდგინოს. აქვე ექსპერტი ამბობს, რომ ხელისუფლებამ ე.წ. თვითდასაქმებულთა შესახებ მის მიერვე შექმნილი პროპაგანდისტული ხერხი უნდა უკუაგდოს.

**„ქვეყანაში რეალური დასაქმება არის მინიმალური, ბიზნესიდან ხელფასს მხოლოდ 398 000 ადამიანი იღებს, ამას თუ დავუმატებთ სახელმწიფო სტრუქტურებს, უცხოელებს და ა.შ. მთლიანობაში 610 000 კაცი თუ იღებს ხელფასს. დანარჩენ 73%-ს არანაირი შემოსავალი არ აქვს",** – აცხადებს დემურ გიორხელიძე.

იგი ვარაუდობს, რომ ახალი მინისტრის ფუნქცია უმუშევრების სტრუქტურის, კატეგორიების დადგენა იქნება. შემდეგ დასაქმება არა ამ მინისტრმა, არამედ ეკონომიკურმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს. გიორხელიძე ამბობს, რომ ეკონომიკური პოლიტიკა ხელისუფლებას არ ჰქონდა ან ჰქონდა ეკლექტური და აბსოლუტურად არაეფექტიანი. ამიტომ ექსპერტი აღნიშნავს, რომ რას გააკეთებს ახალი პრემიერ-მინისტრი, მასზე და იმ გუნდზე იქნება დამოკიდებული, რომელსაც იგი პარლამენტში წარადგენს, თუ ეს გუნდი კვალიფიციური იქნა, მაშინ რაღაც დროში კარგი ნაბიჯების გადადგმა შეიძლება, მაგრამ დემურ გიორხელიძე არ ფიქრობს, რომ დღეს ხელისუფლება ისეთ გუნდს შექმნის, რომელსაც ეკონომიკაში რაღაცის ქმნა შეუძლია.

**„ეკონომიკაში კრიზისულ სიტუაციებში წარმატებას აღწევენ მხოლოდ პოლიტიკურად მოაზროვნე უმაღლესი კლასის პროფესიონალები. თუ ასეთი მთავრობა ჩამოყალიბდა, მაშინ პერსპექტივა არის, თუ არადა ვანო მერაბიშვილს კისერზე უმძიმესი ტვირთი აქვს აკიდებული და მხოლოდ პროპაგანდისტული ხერხებით პრობლემების გადაწყვეტა გაუჭირდება, თუმცა, რა თქმა უნდა, იგი ეცდება უფრო გონივრული ნაბიჯები გადადგას, ვიდრე წინა უდარდელი მთავრობა აკეთებდა",** – აცხადებს დემურ გიორხელიძე.

პოლიტიკური ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი **for.ge**-სთან საუბარში აღნიშნავს, რომ ხელისუფლებისთვის, მისთვის ყველაზე მძიმე პერიოდში რატომღაც აუცილებელი გახდა დასაქმების სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა შექმნა.

**„ძალაუნებურად, ეს იმის განცდას იწვევს, რომ აქამდე ყველა მინისტრი უსაქმურობით იყო დაკავებული. საქმიანები და უსაქმურები წარმატებას ერთად იმ შემთხვევაში მიაღწევენ, თუ ისინი საერთო საქმეს ემსახურებიან, მაგრამ საკუთარ საქმიანობაში ყალბები არ არიან. მე არ მაქვს რაიმე ინფორმაცია ბატონი ტრაპაიძის შესახებ, მაგრამ გულწრფელად ვუსამძიმრებ, რომ მას ამ თანამდებობის დაკავება ისეთ კრიტიკულ მომენტში მოუწევს, როდესაც ხელისუფლება დაპირებების კორიანტელს აყენებს, მაგრამ მომდევნო წლები გვარწმუნებს, რომ ყველაფერი იყო ყალბი",** – ამბობს ცისკარიშვილი.

იგი არ გამორიცხავს, რომ ამ სახელმწიფო მინისტრის აპარატის პრიორიტეტი გახდეს თავად ტერმინ „უმუშევარის" განმარტებაზე მუშაობა და საკანონმდებლო ბაზის შექმნა იმისთვის, რომ თუ ადამიანი თავად გამოდის ქუჩაში, ის უკვე დასაქმებულად ჩაითვალოს.

**„როგორც ჩვენი საარსებო მინიმუმი იწევს ქვევით ქაღალდზე და ზევით რეალურ ცხოვრებაში, ასევე მოხდება მისჯა დასაქმებულობისა დაუსაქმებელი ადამიანებისთვის, და არა მათი რეალური დასაქმება",** – აღნიშნავს ექსპერტი.

რუსიკო უშიკიშვილი

ინფორმაცია

## საქართველო ლატაკებითა და პატიმრებითაა გადატენილი

**„ქართული დასის" ლიდერს, დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას აინტერესებს, რატომ არ მოახდინა რეაგირება ვანო მერაბიშვილმა პრეზიდენტის კორუფციულობის დამადასტურებელ დოკუმენტებზე.**

**როგორც „ქართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ პარლამენტის გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, საქართველოში არ დარჩა ოჯახი, რომელსაც რომელიმე ოჯახის წევრი პატიმარი არ ჰყავს.**

**მისი თქმით, ქვეყანა გადატენილია ლატაკებითა და პატიმრებით, მერაბიშვილი კი ამბობს, რომ კეთილდღეობამ ოჯახებში ვერ შეაღწიაო.**

**დეპუტატმა აღნიშნა, რომ სამაგიეროდ კეთილდღეობამ ხელისუფლების ოჯახებში შეაღწია.**

**ჯონდი ბაღათურიამ ვანო მერაბიშვილს ის 187-გვერდიანი დოკუმენტიც წარუდგინა, რომელშიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კორუფციაში ჩართულობაზეა საუბარი. მისი თქმით, ეს დოკუმენტი ნატოს წარმომადგენელს ჯეიმს აპატურაისაც გადასცა.**

ინტერპრესი

◎ რანი ვართ?

# „ბედნიერი ერის“ შვილები

ქართველი პოლიტიკოსები, დემოკრატიის სახელით, ქართველებს მრისხანე მამინაცვლებად და გოროტ დედინაცვლებად ექცნენ. პატრიოტიზმის ჭარბი ენამზეობით მუსრს ავლებენ ყველაფერს. თვისტომებთან ერთად, არც მთას ინდობენ და არც ბარს. ქუჩებიდან ხეებიც კი ამოძირკვეს, რათა ადამიანებმა ფოთლების შრიალი და ჩიტების გალობა არ მოისმინონ. გვპირდებიან ახალ ქალაქებს, მაგრამ ყურადღების გარეთ რჩება ის, რომ არსებული ქალაქები თავზე გვენგრევა. გარემო დანისლულია საშინაო მოხმარების ნაცრით, რომლის თანახმადაც მივდივართ ელვისებური სიჩქარით და ვუახლოვდებით საამური ცხოვრების შუადღეს.

საუკუნეთა გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ხშირ შემთხვევაში, დემაგოგთა მცირე ჯგუფი ახერხებს ხატოვანი სიტყვების კორიანტელით გზიდან გადაიყვანოს მთელი ერი და ზღაპრული იდეალების მოლოდინში ამყოფოს. ხალხის სახელით უტევს ხალხს და თავის უძლეველობაში დარწმუნებული ძალის გამოყენებისგანაც არ იხევს უკან.

მივდივარ ევროპისაკენ, ღალადებენ დიდი და მცირე ჩინოსნები. მივდივართ აღთქმული ბედნიერებისაკენ, ამ მრავალსიტყვაობაში მთავარი დავიწყებული აქვთ. ადამიანი საერთოდ არ აინტერესებთ და მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ და ზრუნავენ. მათი რიტორიკა მიახლოებითაც ვერ უპასუხებს ცივილიზებული სამყაროს მოთხოვნებს. ორიენტირად აღებული ევროპის სახელმწიფოები ამაყობენ იმით, რომ გაზარდეს სიცოცხლის ხანგრძლივობა და ხანდაზმულთა პატივისცემა. „დემოკრატიული“ საქართველო, ერთადერთი ქვეყანაა ცისქვეშეთში, რომელიც ხმალამოწვდილი ებრძვის სიცოცხლის გახანგრძლივებას. ახალი საქართველოს ადეპტებმა, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ჯვაროსნული ომი გამოუცხადეს ჭაღაროსნებს და მრავალ ღირსეულ პიროვნებას დამამცირებლად და ულირსად მოექცნენ. ბევრის გულმა ვანდალურ რბევას ვერ გაუძლო, ბევრმა ფარ-ხმალი დაყარა და „შედრეკილ-შეშინებული“ და „ნაზრახი“ ცხოვრების გზა აირჩია, ჩაიკეტა საკუთარ ნიჟარაში და ოლიმპიური სიმშვიდით უყურებს საწუთროს და ისეთი პაუზა უჭირავს, თითქოს რაც ხდება, მას არ ეხება.

საქართველოს ისტორიაში, ალბათ, ხაზგასმულად ჩაიწერება „ვარდების რევოლუცია“ და მის მიერ განხორციელებული ყოვლისმომცველი „რეფორმები“. მსაჯული ცოტა მოგვიანებით გვეტყვის სიმართლეს. მანამდე „ბედნიერი ერის“ შვილები მივყვებით განგების ნებას, წუთისოფლის დასასრულამდე.

რეფორმატორ ჩინოსანთა „ბრძნული“ მჭევრმეტყველება სიზმრიდან გამოურკვეველი კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელმაც ვერ შეძლო სიზმარში ნანახის დალაგებით აღდგენა. ვდგავართ და ამ დაულაგებელ შეგონებებს ვისმენთ. ვდგავართ და ვერთობით (სულაც არა გვაქვს საქმე გასართობადძ ხან მთით, ხან ბარით და ზღვით, ხანაც კიდევ ჰონკონგ-სინგაპურ-ბარსელონა-ახალი ორლეანით. ერი ელოდება ჩაქრობის პირას მისული ეროვნული სულის დაბრუნებას. გვეყოფა ფანტასტიკური ოაზისების სურნელებით ტკბობა და ზღაპრულ კუნძულად ქცევის ილუზია? ტყუილად ვინუგეშებთ თავს, რომ საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და ღმერთი არ გაგვწირავს. მეტი გაწირვა რა უნდა იყოს, რა დღეშიც საქართველო და ქართველები ვართ. კაენის ცოდვამ მარტო საქართველოს რატომ უნდა უწიოს? გზააბნეულები ვაწყდებით კლდესა და კედელს. ისედაც მცირერიცხოვანი ჩვენი სისხლი და ხორცი მოდებულია მთელ მსოფლიოში. ვინ არის დამნაშავე?

**„სიახლის“ იდეით ანთებულმა რეფორმატორებმა, მართლაც სერიოზული გარდაქმნებით დაიმშვენეს სახელი. იმდენი მოახერხეს, რომ დაგვიკარგეს სამშობლო და გვიპირებენ საკუთარ მიწაზე უკანონო შვილების სტატუსით ცხოვრებას. გონიერებას გზები გადაუკეტეს. უგონონი დგანან და დღეებს უთვლიან ყოფაგამწარებულ, წარსულში ღირსეულ ადამიანებს. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ საკმაოდ მცირე მცოდნენი დაჯილდოებული არიან სოფისტური მსჯელობის უნარით. ტყუილს ისე დამაჯერებლად აფრქვევენ, რომ ერთი ძარღვიც არ აუტოკდებათ (სინდის-ნამუსის ძარღვი არა მაქვს მხედველობაში, რადგან ამის სერიოზულ დეფიციტს განიცდიან).**

დრო მიდის, გაუძლურებული სულიერება იფერფლება, უვიცთა სამჭედლო ფრთაგაშლილი ნავარდობს. ქვეყნის ბედს განაგებენ ისეთები, რომლებსაც ნორმალურ პირობებში მოარიდებდნენ ან თვითონ მოერიდებოდნენ ამ უმძიმესი ტვირთის ტარებას, მაგრამ რევოლუციური სულისკვეთება ყველაფერს ამსუბუქებს. შედეგიც შესანიშნავია: ეკონომიკის მინისტრი ტურიზმით გვპირდება ქვეყნის აყვავებას. ერთ მინისტრს მამალი ძროხები შემოჰყავს, მეორეს დედალი ხარები (და გაამერიკელებას გვიქადისძ. ვილაცას განზრახული აქვს პირამიდებისა და ბაბილონის გოდოლის აგება. საქართველო მოიფინა სემირამიდას ბაღებით. მალე ინგლისურადაც ავმეტყველდებით და ინგლისურენოვან ხალხებს თავიანთ სამშობლოში ჩავენაცვლებით (იმდენად კონკურენტუნარიანები ვიქნებითძ. ამგვარი ზღაპრებით კვებავენ დაბნეულ თვისტომებს საქართველოს „უსწავლელი სწავლულები“.

ვარდების რევოლუციის მზეჭაბუკებმა (ტრიუმვირატიდან მხოლოდ ერთი დარჩა კვარცხლბეკზეძ ბრძენი ქურუმის ტონით განცხადეს, რომ მათ ღვთაებრივ მოვლინებამდე საქართველოს არც ისტორია ჰქონდა, არც სკოლა-განათლება-მეცნიერება, არც ქალაქი და სოფელი, ვცხოვრობდით რაღაც გაუგებარ, გაუბედურებულ და უიმედო სივრცეში (მათი ლოგიკით, პაპუასებისა და ბუშმენების თანაბარნი ვიყავით და რას ვაკეთებდით, არ ვიცოდითძ.

უხსოვარი დროიდან ადამიანები (მათ შორის ქართველებიცძ ყოველთვის ცდილობდნენ ცხოვრების არსებული წესების გაუმჯობესება-მოდერნიზაციას, შრომისა და ბრძოლის იარაღების დახვეწას, ახალი სიღრმეების დაუფლებას. საერთო ფონზე ისე სამარცხვინოდ არ გამოვიყურებოდით, როგორც „ცივილიზაციის“ მწვერვალზე მდგომი ნაციონალები გვიხატავდნენ.

ზარ-ზეიმით აღმართული დამოუკიდებლობის დროშა და დემოკრატიული ლოზუნგების სიუხვე აზანზარებდა საქართველოს. სახელმწიფოს უპირველეს ამოცანად გამოცხადდა რეფორმების გატარება. გარდაქმნა და ახლებური აზროვნების დანერგვა უნდა განეცადა ყველა სფეროს. როგორც შედეგმა დაგვანახა რეფორმები დაიწყო ნაჩქარევად და არა პროფესიულად, მას წარმართავდნენ შემთხვევითი ადამიანები.

განსაკუთრებული მღელვარება და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია განათლებისა და მეცნიერების რეფორმამ.

**„ვარდოსნების საგანმანათლებლო პოლიტიკა განათლებისა და მეცნიერების გაუფასურებით დაიწყო. დაიმსხვრა სკოლა, დაკნინდა უნივერსიტეტი, მეცნიერება მიიჩნიეს დრომოჭმულად და წარსულის გადმონაშთად. რეფორმისტების უკეთურ ქმედებათა ორგანიზებული გაელვება პირველად თავს დაატყდა თბილისის უნივერსიტეტს. სარკინოზული დაუნდობლობით ანთებულ ლაშქრობას სარდლობდა მწიგნობართუხუცესად აღზევებული ალ. ლომაია, რომელმაც თავის ერთგულ ემისარ გ. ხუბუასთან ერთად უდიდესი როლი შეასრულა ქართული სულიერების დიდი ტაძრის დანგრევაში.**

ლომაია-ხუბუას ბარბაროსობამ, რომელსაც ნაციონალების კვალიფიკაციით, განათლების რეფორმა ერქვა, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცესთან მიახლოების ხმამაღალი ქადაგებებით უნივერსიტეტიდან გამოდევნა ასაკოვანი, მაგრამ შრომისუნარიანი პროფესორები და ქართული სულიერების ალმა მატერს, ევროპული სტანდარტების „ახალი სისხლი“ გადაუსხა. შედეგი: ტაში და „ნაციონალური“ ერთსულოვნება ცოდნის სანაცვლოდ.

ალ. ლომაიას ოქროპირობით საქართველო დაადგა განვითარების ევროპულ გზას (თითქოს მანამდე ლესოტოს გზაზე ვიდექითძ. კიდევ უფრო მძიმე იყო და არის უცხოელ ექსპერტთა მოსაზრებების მოსმენა, რომლებიც ქება-დიდებას ასხამდნენ და დღესაც ასხამენძ ქართული განათლების მესვეურთა ბრძნულ ნაბიჯს (სინამდვილეში განათლების სფეროში ჩატარებული რეფორმა ისეთი წარმატებული აღმოჩნდა, როგორც ჰიბრიდული სიმინდის მოსავალი. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ სიმინდის ბლეფს რამდენიმე თვეში მივხვდით, განათლების ბლეფში დარწმუნებას რამდენიმე წელი სჭირდებაძ.

**„ვარდების რევოლუციამ“ დაამკვიდრა „მამებისა და შვილების“ ბრძოლის სამარცხვინო ხანა. წინა თაობა უცერემონიოდ გამოცხადდა მტრად. მივმართავ ჩემს კოლეგებს: ასეთი დამოკიდებულება ნორმალურად მიგაჩნიათ? ვისაც შეგწევთ უნარი გაარჩიოთ თეთრი და შავი, რატომ დუმხართ? რატომ გავიწყდებათ, რომ „შედრეკილ-შეშინებულ“ და „ნაზრახ“ სიცოცხლეს, სიცოცხლე არ ჰქვია. ფაქტია, საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი „შედრეკილ-შეშინებულ“ სიცოცხლეს ამჯობინებს, მოჩვენებითი პატრიოტობა მხოლოდ საშინაო მოხმარებისთვის გამოიყენება.**

რეფორმებმა სერიოზულად გააბუნდოვნეს საქართველოს ხვალინდელი დღე.

ეშმაკის სამსახურში ჩამდგარი „ძე შეცდომილნი“ მაღალი ტრიბუნიდან მრისხანე გამომეტყველებით გვმოძღვრავენ, რომ ვერ გაგვიგია რაოდენ საამური გახდა ცხოვრება (ისინი თავიანთ უზრუნველ ყოფას მთელ ერზე ავრცელებენძ და სულ ახლოსაა ნეტარების გვირგვინი.

წერილის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ ადამიანების, ერის წინაშე განსაკუთრებულ დამსახურებათა, თაობების აღმზრდელთა სულისკვეთების გამოხატვა, რომლებიც რეფორმისტული მოძრაობის „დიადმა გარდაქმნებმა“ გარიყეს და უკაცრიელ კუნძულზე მიუჩინეს თავშესაფარი.

როდესაც ძლევამოსილმა მწიგნობართუხუცესმა იერიშით (პოლიციის დახმარებითძ აიღო უნივერსიტეტი, „არანაციონალური“ შეხედულების პროფესორები პროსკრიფციების სიაში აღმოჩნდნენ, რაც ნიშნავდა მათ მოკვეთას. უნივერსიტეტის მოძღვართმოძღვარმა (გ. ხუბუამძ თავისი მრუდე სასწორით მოახდინა მცოდნისა და არამცოდნის დახარისხება-გათანაბრება (სხვათა შორის, როცა მოგვიანებით იმავე სასწორზე მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგა, სასწორმა სწორად იმუშავაძ. ლომაია-ხუბუას ჩატარებული წმენდა უნივერსიტეტში გვაგონებს ძველ ბერძნულ მითს ყაჩაღ პროკრუსტეს ავკაცობათა შესახებ. ქართველმა პროკრუსტეებმა, როცა უნივერსიტეტი სადამსჯელო სარეცელზე დააწვინეს და დაინახეს, რომ არ ეტეოდა, მისი დაპატარავება ფეხებიდან კი არ დაიწყეს, თავი მოკვეთეს.

ძალაზე დაფუძნებულმა განათლების რეფორმამ პროფესორებს იმ ტაძრის კარები გადაუკეტა, რომელშიც წლების განმავლობაში დაგროვილ ცოდნას გადასცემდნენ ქართველ ახალგაზრდებს. გაირკვა, რომ ცოდნა, რომელიც არ დგას ნაციონალების სამსახურში, ითვლება მოძველებულად და არ შეესაბამება თანამედროვე გამოწვევებს (გამოწვევა ნაციონალების საყვარელი სიტყვააძ. რეფორმისტებმა უკუღმა დაატრიალეს ადამიანური ღირსების გაგება. შეურაცხყოფათა დაძრული ტალღა ეყრდნობა ალ. ლომაიას უდიერ გამონათქვამებს. ქართული განათლების ბრძენმა ჩირაღდანმა „ვარდოსნების“ რევოლუციამდელი პროფესორი არაკომპეტენტურად გამოაცხადა. იმდენად ღრმად იყო დარწმუნებული თავის მიხვედრაში, რომ სამართლიან პროტესტს ირონიულად უპასუხა: „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“. მისმა უდიდებულესობამ კამათში ჩაბმა მინისტრის მუნდირის შელახვად მიიჩნია.

და მთავარი. გამარჯვებულმა რეფორმატორებმა, დამარცხებული პროფესორი ჯერ სტიპენდიატებად გადაიყვანეს, შემ-



> ლომაია-ხუბუას ბარბაროსობამ, რომელსაც ნაციონალების კვალიფიკაციით, განათლების რეფორმა ერქვა, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცესთან მიახლოების ხმამაღალი ქადაგებებით უნივერსიტეტიდან გამოდევნა ასაკოვანი, მაგრამ შრომისუნარიანი პროფესორები და ქართული სულიერების ალმა მატერს, ევროპული სტანდარტების „ახალი სისხლი“ გადაუსხა. შედეგი: ტაში და „ნაციონალური“ ერთსულოვნება ცოდნის სანაცვლოდ.

> ზარ-ზეიმით აღმართული დამოუკიდებლობის დროშა და დემოკრატიული ლოზუნგების სიუხვე აზანზარებდა საქართველოს. სახელმწიფოს უპირველეს ამოცანად გამოცხადდა რეფორმების გატარება. გარდაქმნა და ახლებური აზროვნების დანერგვა უნდა განეცადა ყველა სფეროს. როგორც შედეგმა დაგვანახა რეფორმები დაიწყო ნაჩქარევად და არა პროფესიულად, მას წარმართავდნენ შემთხვევითი ადამიანები.

დეგ პენსიები დაუნიშნეს. არავის გაუთვალისწინებია, რას აკეთებდნენ მანამდე, ან რისი გაკეთება შეუძლიათ დღეს.

ბრძენო მამებო და კანონმდებლებო! პროფესორს, რომელსაც შესწევს გონებრივი შრომის უნარი, ესაჭიროება წიგნი, გაზეთი, ჟურნალი. სხვა კატეგორიის პენსიონერს მსგავსი მოთხოვნა არ აქვს (რა თქმა უნდა, მასაც პენსია გაცილებით მეტი უნდა ჰქონდეს). რატომ აქციეთ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა, რელიგიური კუთვნილებისა, დამსახურებისა, ასათიანებად? ყველაფრისმცოდნეობაზე რომ დებთ თავს, კაცობრიობის ისტორიის რომელი ეპოქიდან აიღეთ მცოდნისა და არამცოდნის გათანაბრების ასეთი მოდელი? უნდა გითხრათ, რომ „დემოკრატიულ" და განვითარების „ევროპულ გზაზე" დამდგარ საქართველოში პენსია იმდენად მცირეა, რომ როგორ არ გესირცხვილებათ ჩვენს ამაყ ნაციონალებს, ასე გამუდმებით რომ მოგზაურობთ კონტინენტიდან კონტინენტზე. ნუთუ არავის გეკითხებათ და თუ გეკითხებიან, რას პასუხობთ? ან იმ უცხოელ ექსპერტებს თუ სხვა რანგის პოლიტიკოსებს სად აქვთ ნამუსი, ჩვენთან მიმდინარე პროცესების შესაქებად სიტყვებს რომ არ იშურებენ. სანდოდ მიგაჩნიათ მათი სიტყვები? მათ თვალთმაქცობას მე სრულ უნდობლობას ვუცხადებ. უმჯობესია ეს ზღაპრები სამშობლოში რომ დაბრუნდებიან თავიანთ ცოლ-შვილებს მოუყვნენ.

ამ ფონზე გამაღიზიანებელია პარლამენტართა გაზეპირებული ოქროპირობა, თითქოს დიდად აწუხებდეთ ხალხის მდგომარეობა ცინიკურად რომ აცხადებენ: ხალხი ბრძენია, ჩვენ გვენდობა, მათ იდეალებს ვერ ვუღალატებთ. ნუთუ მართლა ასეთი ბნელი ჰგონიათ ხალხი, ამ ნაცრის შეყრას ვერ ხვდება? (თუ ხვდება, ის უარესის ღირსია), ანალოგიური ცინიზმია მათი კაზმულსიტყვაობის ის მონაკვეთი, როდესაც დიდ დამსახურებად მიიწერენ პენსიების გაზრდას და დროულად დარიგებას. იმის შესახებ კი დუმან, რომ თვითონ არაფერში, მხოლოდ ტაშის დაკვრაში რამდენიმე ათეულ (თუ ოცეულ, თუ მეტს) პენსიონერზე მეტ ანაზღაურებას ღებულობენ.

ღრმად პატივცემულო კანონმდებლებო და აღმასრულებელი ხელისუფლების ჩინოსნებო! რატომ გგონიათ, რომ მხოლოდ თქვენი ასაკის ადამიანებს აქვთ ამქვეყნიური ნეტარებით ტკბობის უნარი? სიჭაბუკე და ახალგაზრდობა რომ კარგია, ეს თქვენი მიგნება არ არის, მაგრამ გახსოვდეთ – არც მარადიულია. ცოტა ზომიერება დაიცავით, ჭკუას მოუხმეთ, თორემ უზნეო ბავშვის აჩემება: მე ყველაფრის უფლება მაქვს და რასაც მინდა იმას ჩავიდენო, ისე მკაცრად შემოგიბრუნდებათ, რომ ჭრილობა, რომელიც ჩვენს თაობას მიაყენეთ, სანატრელი გაგიხდებათ.

ერთი სავალალო რეალობაც: ნაციონალებისგან შერისხულებს დაერივნენ ძლიერთა ფრთებს შეფარებული, კულისებში მხოხავი ვირთხები და თხუნელები (გვარებს სხვა დროს დავასახელებ) და „შეუდრეკელთა" კოჰორტას არანაკლები გესლი აგემეს. უმძიმეს ატმოსფეროს ამ ქვეწარმავლური ინსტიქტების გამოვლენაც დაემატა და ისედაც ნისლიანი გარემო კიდევ უფრო ჩამოაბნელა.

მითებისა და ლეგენდების ეპოქა გრძელდება. წესიერი ყოველთვის წესების დაცვით ცხოვრობდა და იხდიდა ადამიანურ ვალს კეთილ საქმეთა კეთებით. უწესოებით აგრძელებენ უწესო ცხოვრებას და ახალ სიმაღლეებს ეპოტინებიან, რომ ასპარეზი გაიფართოონ სიცუდის ჩასადენად.

„ბედნიერი ერის" წესიერი შვილები ყოველთვის იბრძოდნენ წესების დასაცავად, ფაქტია ზნეობრივად სუფთა ადამიანებს, სიტყვებით თამაში, სიტყვის მიტან-მოტანა, მლიქვნელობა და სხვა უკეთური ქმედებანი უღირსთა ხელობად მიაჩნიათ. ასეთ ადამიანებს, როგორც წესი, არც ერი წყალობს და არც ბერი. ასე იყო, ასე არის, ხვალ როგორ იქნება?



ასეთია „ბედნიერი ერის" შვილების ბედი „ვარდების რევოლუციით" გაბრწყინებულ საქართველოში.

**გრანი ქავთარია**

◎ წკეპლიკა

# ფიქრები ახალ სამთავრობო „შესასვლელთან"

**რაც გინდათ თქვით და, რაღაცების ნიჭი ამ ჩვენს პრეზიდენტს ნამდვილად აქვს: პიარის, გრიალის, თვითტკბობის, მობოლების, თვალთ ნაცრის შეყრის, დემაგოგობის, მშვენიერთა სქესის მოზიდვის, ინიციატივიანობის, დროდადრო პოლიტიკური გარემოცვის „დაცუნამების".. რა ვუყოთ, რომ 8 წლის სიგრძეზე ვერა და ვერ ისწავლა ქვეყნის გონივრული მართვა და გამართული ქართულით ლაპარაკი... სამაგიეროდ, მაგის ინგლისურ-„ამერიკული" „ნახეთ"!..**

აგერ ახლაც, თავის ზურგზე გადასატეხი ჯოხი მორიგ ჯერზე გადასტეხა პრემიერის ზურგზე და ერთი თვით მაინც გააჩინა სალადაო თუ „საყბადაღაო" პარლამენტისთვის, ელექტრონულ-ბეჭდური მედიისთვის, საზოგადოებრიობისთვის... სალადაოა, მაშ რა არის, თუნდაც დიმა (დიმიტრი შაშკინის მაგალითი: სანტექნიკაში გაწაფული კაცი ჯერ საპატიმროების მინისტრად გაამწესეს, იქ სათანადო განათლებული, განათლების მეცნიერების მინისტრად გადაიყვანეს (მეცნიერებისკენ არც გაუხედავს), ახლა კიდევ – თავდაცვის მინისტრობა მიუსაჯეს... სად ერეკლე, სად პერიკლეო, არ უნდა გავიკვირვო? სად განათლება-მეცნიერება, სად თავდაცვაო, არ უნდა ვიკითხო? თუმცა, სამხედრო სფეროსთან დაკავშირებით, ეგების რუსული გამოთქმა გაამართლოს – Ему и шашки в руки-ო, გვართან ერთად... ისე, დიმას ასეთმა მრავალსახეობამ, კიდევ უფრო მრავალსახა, საოცრად დიაპაზონური და უნივერსალური კადრი გამახსენა – ეკა ტყეშელაშვილი, რომელმაც 4-5 წლის სიგრძეზე 4-5 საკმაოდ მაღალი თანამდებობა მოისტუმრა...

აგერ, ახალი პრემიერის ინიციატივით (როგორც ჩანს, ჩვენმა უაღრესად ინიციატივიანმა გრძელომ ხელქვეითებსაც დართო ინიციატივის გამოჩენის ნებაც), ახალი სამინისტრო შეიქმნება – დასაქმებისა, ახალი სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა გაჩნდება; ოღონდ, „გიხაროდენ უმუშევრებოო", არა მგონია ეს ჟამი დამდგარიყოს: ახალი სამინისტრო და ახალი სახელმწიფო მინისტრი თავისი აპარატიანა, ჩემი ფიქრით, მხოლოდ ახალი მაღალი ხელფასების დანიშვნას მოიყოლებს და სხვა არაფერს – მინისტრებით დაწყებული, იმათი მოხელეებით გაგრძელებული – და კითხვას „რაში ფულიო"?, უფრო „ჟღერადს" გახდის...

ნამეტანი პესიმისტ-სკეპტიკოსი გამოვჩნდი, ვხედავ, მაგრამ თუ ახალი პრემიერი, თვით „იმასთან" შეთანხმებითა და „იმის" ნებართვით, ამ მრავალი ათასი და მრავალათასლარიანი სახელისუფლებო მოხელისათვის ხაზინის სასარგებლოდ ხელფასების გვარიანი შეკვეცის ინიციატივითაც გამოვა, – ე, მაშინ ვიწამებ „ყველაფერი ხალხის სასარგებლოდ" პროგრამის არასიაფანდობას...

...აბა შენ იცი, მარჯვედ იყავი, გამაგრდი, ვანო – ეგებ ცხოვრება ახალ რელსებზე გადაიყვანო...

**ბერდია ბედოიძე**

◎ ალიანჩალიანი

## ირაკლი ალასანია - ხელისუფლების მიზანი ჩვენი წონასწორობიდან გამოყვანაა

**კოალიცია „ქართული ოცნების" ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ალასანია სენაკის რაიონის სოფელ ახალსოფლის მცხოვრებლებს შეხვდა.**

**როგორც კოალიციიდან იტყობინებიან, ალასანიამ მათ განათლების, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის სფეროების ხელშეწყობისა და დასაქმების შესახებ „ქართული ოცნების" პროგრამა გააცნო.**

**ამასთან, ალასანიამ კომენტარი გააკეთა პროექტ „კარდაკარის" სენაკის რაიონის ეკისთემის კოორდინატორ რომანო ცხვიტავას დაკავებასთან დაკავშირებითაც, რომელიც პოლიციამ ხულიგნობის ბრალდებით აიყვანა და სასამართლომ ერთთვიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა. ალასანია აღნიშნულს პოლიტიკურ მოტივს უკავშირებს და მას მიუღებელს უწოდებს.**

**– სენაკის რაიონში პოლიცია აკავებს „კარდაკარში" მონაწილე ჩვენს აქტივისტებს. ესაა მიუღებელი, რადგან ამით ხელი ეშლება პოლიტიკური პროცესის ნორმალურად წარმართვას. მინდა, მივმართო უწყებათაშორის კომისიას, ყურადღება მიაქციოს ამ ფაქტს და იმასაც, რომ არავის შეეშალოს ხელი პოლიტიკური პროცესის წარმართვაში. ხელისუფლების მიზანია ჩვენი წონასწორობიდან გამოყვანა, თუმცა, ჩვენ მშვიდად განვაგრძობთ კამპანიას და „ნაციონალურ მოძრაობას" აუცილებლად დავამარცხებთ, – განაცხადა ალასანიამ.**

## დასჯის სუბელიანს მერაბიშვილი?

**პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი დევნილთა განსახლების პროცესში დაშვებულ უსამართლობას აღიარებს და მისი გამოსწორების პირობას იძლევა. როგორც მერაბიშვილმა პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, აღიარებს, რომ დევნილების განსახლების, მათთვის სახლების მშენებლობის პროცესში, ხშირად ხდებოდა უსამართლობა.**

**მისი თქმით, ამ უსამართლობას აუცილებლად გამოასწორებს.**

**დევნილების განსახლების პროცესში დაშვებულ შეცდომებზე და უსამართლობაზე განცხადება გუშინ ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ გააკეთა და მომავალ პრემიერს აღნიშნული საკითხით დაინტერესებისკენ მოუწოდა.**

**„ქრისტიან-დემოკრატების" ლიდერმა გიორგი თარგამაძემ კი განაცხადა, რომ ივანე მერაბიშვილს შს მინისტრობის დროს, რატომღაც პირადად ევალებოდა დევნილებისთვის ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა და ამიტომ, მითი მის კარგ მენეჯერობაზე, გამოგონილია.**

## უმრავლესობამ მთავრობის ახალი შემადგენლობა გაიყვანა

**პარლამენტმა გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე, 102 ხმით 7-ის წინააღმდეგ მინისტრთა განახლებულ კაბინეტს და პროგრამას „მეტი სარგებელი ხალხს" ნდობა გამოუცხადა.**

**საპარლამენტო ოპოზიციის დიდი ნაწილი დარბაზში არ იმყოფებოდა, დარბაზში მყოფმა ოპოზიციონერებმა კი ხმა წინააღმდეგ მისცეს.**

**სამთავრობო ცვლილებების მიხედვით, პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი გახდა, რომელიც შს მინისტრის პოსტზე თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ბაჩანა ახალაიამ შეცვალა. თავდაცვის მინისტრი, განათლებისა და მეცნიერების ყოფილი მინისტრი დიმიტრი შაშკინი გახდა. განათლების უწყებას გამოცდებისა და შეფასების ცენტრის ყოფილი უფროსი ხატია დეკანოიძე უხელმძღვანელებს. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრად დალი ხომერიკი დაინიშნა, რომელმაც კობა სუბელიანი შეცვალა. ამავე ცვლილებების ფარგლებში, დასაქმების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი შეიქმნება, რომელსაც სათავეში პაატა ტრაპაიძე ჩაუდგა.**

ჯი-ეიჩ-ენი, ინტერპრესი

◎ ინფორმაცია

# ლილოში ქლორით სამოცამდე ადამიანი მოიწამლა

**ლილოში გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ქიმიური ავზიდან გაჟონილი ქლორით დაზარალებულების შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია ვრცელდებოდა. მოგვიანებით ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა განაცხადა, რომ ინტოქსიკაცია 56 ადამიანმა მიიღო.**



**დაზარალებულებს შორის 20 ბავშვია და ერთი ორსული. დაზარალებულები მიმდებარე კორპუსებში მცხოვრები ადამიანები არიან.**

**ერთი მოწამლულის მდგომარეობა განსაკუთრებულად კრიტიკულია. როგორც თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა ქაცარავამ განაცხადა, ამ დროისათვის ავადმყოფი კომატოზურ მდგობარეობაშია და პროგნოზი არასაიმედოა.**

**– ერთი ავადმყოფის მდგომარეობა ძალიან მძიმეა და ჯერჯერობით ექიმები მის მდგომარეობას კრიტიკულად აფასებენ. ის გადმოყვანილ იქნა კატასტროფის ბრიგადის მიერ და როგორც ექიმები ამბობენ, მოხდა გულის გაჩერება და იგი გადაიყვანეს მართვით სუნთქვაზე. გაჩერებული გულით იქნა შემოყვანილი კლინიკაში. კლინიკაში მოხერხდა რეანიმაცია და გულის ამუშვება, მაგრამ იმის გამო, რომ ტვინი გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდა იშემიაში, მდგომარეობა ძალიან დამძიმდა და ჩამოყალიბდა ღრმა კომა, ამის გამო პროგნოზი ჯერჯერობით არასაიმედოა, – განაცხადა ქაცარავამ.**

**ლილოში მოსახლეობის ევაკუაციის საჭიროება არ არსებობს. დაზიანებული 800-ლიტრიანი ქიმიური ავზი უსაფრთხო ადგილზე გადაიტანეს.**

**ქლორის გაჟონვის გამო შესაბამისმა სამსახურებმა ჰაერის მდგომარეობაზე ტესტი ჩაატარეს. ისან-სამგორის რაიონის გამგებელის თემურ გრიგალაშვილის ინფორმაციით, ტესტმა აჩვენა, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე ჰაერი ნორმის ფარგლებშია და პანიკის საფუძველი არ არსებობს.**

**დაზარალებულები ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმაც მოინახულა. მინისტრის თქმით, პაციენტების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.**

**შეგახსენებთ, რომ ლილოში გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ქიმიური ავზი მწყობრიდან გამოვიდა და ქლორმა გაჟონა. დაზარალებულები არიან მიმდებარე კორპუსებში მცხოვრები ადამიანები, რომლებიც რეფერალურ საავადმყოფოსა და ინგოროყვას კლინიკაში გადაიყვანეს. გაჟონვა მოხდა 800-ლიტრიანი ქიმიური ავზიდან, რომელსაც ონკანი მოძვრა.**

**800-ლიტრიანი ქიმიური ავზი, საიდანაც ქლორის გაჟონვა მოხდა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის კონტრაქტორ ფირმას, შპს „კრისტალს" ეკუთვნის. მისი ხელმძღვანელი ლევან დათუაშვილი, რომელიც გუშინ დილიდან პოლიციაში დაკითხვაზე იმყოფებოდა, დააკავეს. კომპანიის სხვა წარმომადგენლები ამ დრომდე დაკითხვაზე იმყოფებიან.**

**არსებული ინფორმაციით, საქმე აღძრულია, სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე და 288-ე მუხლებით, რაც 2-დან 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

**„კრისტალი" გაერთიანებული წყალმომარაგების კონტრაქტორი ფირმაა, რომელსაც ქლორით სავსე ავზი ეკუთვნოდა.**

ინტერპრესი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილმა საკვანძო მოკავშირე პრემიერად დანიშნა

**საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარედგინა მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა და მთავრობის ახალი პროგრამა. საკადრო ცვლილებებს მთავრობაში პარლამენტის არჩევნებამდე სულ რაღაც რამდენიმე თვით ადრე ქვეყანაში უწოდებენ ყველაზე რადიკალურს უკანასკნელი წლების განმავლობაში.**

ახალ მინისტრთა კაბინეტს სათავეში ჩაუდგება ვანო მერაბიშვილი, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პირად და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ნდობის აღჭურვილ პირად არის მიჩნეული.

საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივნის მანანა მანჯგალაძის სიტყვებით, რომელმაც სამშაბათს დაასახელა განახლებული მინისტრთა კაბინეტის წევრები, მერაბიშვილის ადგილზე დასახელებულია თავდაცვის უკვე ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას კანდიდატურა, რომელსაც, თავის მხრივ, შეცვლის განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი.

ცვლილებები შეეხო აგრეთვე ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებულ პირთა საკითხების მინისტრს. ამ სამინისტროს ხელმძღვანელი გახდება დალი ხომერიკი, რომელიც ადრე მუშაობდა თბილისის მხარდამჭერილ აფხაზეთის დევნილ მთავრობაში.

ამას გარდა ახალ კაბინეტში გაჩნდა ახალი თანამდებობა — დასაქმების საკითხთა სახელმწიფო მინისტრი, რომელსაც დაიკავებს ერთ-ერთი სამშენებლო კომპანიის დირექტორი პაატა ტრაპაიძე.

ექსპერტთა წრეებში დარწმუნებული არიან, რომ საკადრო გადაადგილებანი და პრემიერ-მინისტრად მერაბიშვილის დანიშვნა უშუალოდ არის დაკავშირებული მომავალ არჩევნებთან და ბრძოლასთან მმართველის პარტიის მთავარ კონკურენტთან, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის ოპოზიციურ კოალიციასთან — „ქართული ოცნება“.



### დანაშაულობასთან ბრძოლიდან უმუშევრობასთან ბრძოლისკენ

პრეზიდენტმა სააკაშვილმა, როდესაც მერაბიშვილს საქართველოს პრემიერ-მინისტრად ასახელებდა, განაცხადა, რომ მომავალი პარლამენტის არჩევნები განსაზღვრავს ქვეყნის განვითარებას უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში.

„ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ უკვე ახლავე წარუდგინოს ჩვენს ხალხს იმის პროგრამა, თუ რით მიდის მთავრობა არჩევნებზე და რა იქნება ამ არჩევნების შემდეგ ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში“, — განაცხადა სააკაშვილმა.

მისი სიტყვებით, საქართველომ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს კორუფციასთან ბრძოლაში, ბევრი რამ გაკეთდა ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის თვალსაზრისით, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის ახალი სისტემის შექმნისთვის.

მაგრამ, სააკაშვილის სიტყვებით, მისთვის მთავარი ამოცანა არის ის, რომ თითოეულმა მოქალაქემ იგრძნოს ქვეყნის პროგრესი.

თავად მერაბიშვილმა, როდესაც საუბრობდა განახლებული მთავრობის მოქმედების გეგმებზე ოთხი წლის განმავლობაში, პირობა დადო, რომ იბრძოლებს უმუშევრობასთან ისევე, როგორც უკანასკნელი წლების განმავლობაში ებრძოდა კორუფციასა და კრიმინალს.

მერაბიშვილმა განაცხადა, რომ 2013 წელს შესრულდება პრეზიდენტის დაპირება 100-დოლარიან პენსიაზე, ოთხი წლის განმავლობაში კი გამოიყოფა 3 მილიარდი ლარი ბიუჯეტიდან, რადგან საქართველოს ყველა მოქალაქე იყოს დაზღვეული.

ამას გარდა, ახალი მთავრობის მთავარი პრიორიტეტი, მერაბიშვილის სიტყვებით, იქნება ქართული სოფლის მხარდაჭერა, რისი განვითარებისთვისაც ინვესტირებული იქნება 4 მილიარდი ლარი.

მერაბიშვილმა აგრეთვე ისაუბრა ინიციატივის შესახებ, რომლის თანახმადაც დაგეგმილია მომავალი წლიდან თითოეული ოჯახისთვის 1000-ლარიანი ვაუჩერის გამოყოფა, რომლებიც გათვალისწინებულია ოთხი წლით იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რაც მათ აწუხებთ.

„ჩვენი მუშაობა იქნება მეტად დაძაბული, მოგვიწევს მეტად ინტენსიური მუშაობა. ჩვენი მოთხოვნები იქნება მეტად მკაცრი და ჩვენ ყველანი ვიქნებით ბედნიერი, თუ შევასრულებთ ჩვენს დაპირებებს“, — განაცხადა მერაბიშვილმა.

### მილიარდერი გააწბილა მერაბიშვილმა

ექსპერტების სიტყვებით, უკანასკნელი საკადრო ცვლილებები და მერაბიშვილის მიერ გაკეთებული დაპირებანი მიუთითებენ იმაზე, რომ ხელისუფლება ივანიშვილს საკმაოდ სერიოზულ კონკურენტად მიიჩნევს.

თავად ივანიშვილმა განაცხადა, რომ მერაბიშვილის დასახელება პრემიერ-მინისტრის პოსტზე ვეღარ გადაარჩენს საქართველოს ამჟამინდელ ხელისუფლებას.

„ისინი ახორციელებენ ამ გადაადგილებებს, ჩემი აზრით, რათა სურთ უფრო მეტად გააძლიერონ პოლიცია და ზემოქმედება საკუთარ ხალხზე. მაგრამ მათ არაფერი გამოუვათ. არანაირი გადაადგილება ამ ხელისუფლებას ვერ გადაარჩენს“, — განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილმა, როდესაც შარშან ოქტომბერში აკეთებდა თავის პირველ პოლიტიკურ განცხადებებს, მერაბიშვილს კარგი მენეჯერი და ორგანიზატორი უწოდა.

მაგრამ, მილიარდერის სიტყვებით, დღეს მისი აზრი მერაბიშვილთან დაკავშირებით იცვლება, ვინაიდან იგი არ ღებულობს „ადეკვატურ გადაწყვეტილებებს“.

„მერაბიშვილსა და მთავრობის სხვა წევრებს ვურჩევდი, დროულად მოვიდნენ გონს და დაემორჩილონ კანონს და საკუთარი ხალხის ნებას“, — უთხრა ივანიშვილმა ჟურნალისტებს, როდესაც კომენტარს უკეთებდა უკანასკნელ საკადრო ცვლილებებს.

### „სააკაშვილის კონტრასტი“

პოლიტოლოგების სიტყვებით, სერიოზული საკადრო ცვლილებები არჩევნებამდე სულ რაღაც რამდენიმე თვით ადრე მიუთითებენ იმაზე, რომ მმართველი პარტია არჩევანს სიტყვაძუნწ და ცივ მერაბიშვილზე აკეთებს, რომელიც ამჟამინდელი პრეზიდენტის სრულიად საპირისპიროა.

„მერაბიშვილი სათავეში ჩაუდგა არა მთავრობას, არამედ ნაციონალური მოძრაობის შტაბს, განაცხადა ჩვენთან საუბარში კონფლიქტოლოგმა და „რესპუბლიკური პარტიის“ წარმომადგენელმა პაატა ზაქარეიშვილმა. — ის ისედაც არაფორმალურად პრემიერ-მინისტრი იყო და მართავდა ქვეყანას, ასე რომ არსებითად არაფერი შეცვლილა“.

ზაქარეიშვილის აზრით, დღეს მერაბიშვილი უფრო პოპულარულია და ნდობის დონე მისადმი საზოგადოებაში უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა.

BBC RUSSIAN.com

# სააკაშვილს არ მისცეს საშუალება საზღვარგარეთ მშვიდად ეჭამა სუში

**ქართველ ემიგრანტთა საინიციატივო ჯგუფი საზღვარგარეთ გააგრძელებს საპროტესტო აქციებს საქართველოში პარლამენტის პატიოსანი არჩევნების მოწყობის მიზნით და სამთავრობო ტერორის შეწყვეტის წინააღმდეგ, გადმოგვცემს ჩვენი კორესპონდენტი თბილისიდან.**

როგორც ოთხშაბათს ყოფილმა დეპუტატმა ზაურ გურგენიძემ განაცხადა, რომელიც ამჟამად საფრანგეთში პოლიტიკური ემიგრანტის სტატუსით ცხოვრობს, ასეთი აქციები უკვე გაიმართა ლილში, პარიზში, აგრეთვე ბრიუსელში.

ეს უკანასკნელი, მისი სიტყვებით, იყო ყველაზე საინტერესო, ვინაიდან გაიმართა რესტორანთან, რომელშიც მიხეილ სააკაშვილი ევროპის მთელ რიგ დეპუტატებთან ერთად სუშის მიირთმევდა.

ადრე ის შედიოდა მმართველი პარტიის რიგებში, მაგრამ ამჟამად მოუწოდა თავის ყოფილ კოლეგებს „შეწყვიტონ ტერორი, თუნდაც ოდნავ მაინც სცენ პატივი კანონს“.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მოახლოებულ პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით არ გამორიცხა, რომ სააკაშვილი ხელისუფლების შესანარჩუნებლად წავა ახალ ავანტიურაზე. „სააკაშვილი ყველაფერს გააკეთებს, რათა დარჩეს ხელისუფლებაში, — უთხრა მან გაზეთ „ასავალ-დასავალს“. — სამწუხაროდ, ვერავინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ სააკაშვილი არ წავა ავანტიურაზე“.

„ბოდიშს ვუხდი ქართველ ხალხს იმისთვის, რომ 2003 წელს ხელისუფლება სააკაშვილს გადავეცი. მაგრამ მაშინ სხვა გამოსავალი არ იყო“, — თქვა ექსპრეზიდენტმა. ედუარდ შევარდნაძის სიტყვებით, „სააკაშვილმა ქვეყანაში დიქტატურა დაამყარა“.

პარლამენტის ექსსპიკერმა, ოპოზიციური „დემოკრატიული მოძრაობა „ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ კი განაცხადა იმის შესახებ, რომ პრემიერ-მინისტრად შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის დანიშვნა მოწმობს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის იმ სურვილს, რომ შეინარჩუნოს ხელისუფლება „ნებისმიერი საშუალებით“.

„სააკაშვილი არ აპირებს გადასცეს ხელისუფლება, დემოკრატიულად მოაწყოს არჩევნები. მოვლენები შეიძლება მეტად მძიმედ განვითარდეს“, — განაცხადა მან. „ფაქტია, რომ სიტუაცია გამწვავებისკენ მიდის“, აღნიშნა ბურჯანაძემ. მისი სიტყვებით, „თუ დროულად არ გადავაყენებთ ამ ხელისუფლებას, საქართველო ჩათრეული იქნება ახალ ომსა და სისხლისღვრაში“.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**მეცნიერებმა მსოფლიოს აცნობეს ახალი ნაწილაკის აღმოჩენის შესახებ — ეს არის ან „ღმერთის ნაწილაკი“, ან რაიმე ამის მაგვარი**

ბოზონ ჰიგსი — ეს არის უკანასკნელი ელემენტი, რომელიც აკლდა სტანდარტულ მოდელს — საზოგადოდ დღეისათვის მიღებულ თეორიას სამყაროს აგებულების შესახებ. სამეცნიერო აღმოჩენის დონემდე ფიზიკოსებს, რომლებიც დიდ ანდროიდულ კოლაიდერზე მუშაობენ, სულ ცოტა დააკლდათ. ექსპერიმენტები კვლავ გაგრძელდება.

**ფიზიკოსი სტივენ ჰოკინგი დარწმუნდა, რომ შეუძლებელია მოგზაურობა დროში წარუმატებელი საღამოს წვეულების შემდეგ**



მეცნიერმა ექსპერიმენტის გულისთვის მოაწყო საღამოს წვეულება დროში მოგზაურთათვის, მაგრამ არავინ მასთან არ მისულა. არ სჯერა ჰოკინგს იმისიც, რომ დედამიწიდან რამდენიმე ასეული სინათლის წლის განმავლობაში არსებობს გონიერი სიცოცხლე: გარესამყაროს ცივილიზაციის ძებნის პროგრამამ მაინც ვერ დაიჭირა ვერც ერთი უცხოპლანეტელის სიგნალი, ამო კი მხოლოდ ევლინება უგუნურებს.

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: აშშ ემზადება ირანთან საიდუმლო მოლაპარაკებისთვის, ამავე დროს იმის ნაპირებისკენ აგზავნის დიდ ძალებს**



დიპლომატიურმა ძალისხმევამ ირანის ბირთვული პროგრამის მოწესრიგების შესახებ ჯერჯერობით შედეგი არ გამოიღო. სიტუაცია რთულდება ივლისიდან თეირანის წინააღმდეგ სანქციების გამკაცრებით, მისი მუქარით, რომ გადაკეტავს ორმუზის სრუტეს, აგრეთვე რაკეტების გამოცდებით, რომლებსაც შეეძლებათ, მიაღწიონ ისრაელს.

**ვიდეო კოსმოსიდან: ამერიკელმა სამხედროებმა ააგეს საიდუმლო ხელოვნური კუნძული**

ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროზე 13 წლის განმავლობაში ამოიზარდა კუნძული, რომლის ფართობიც 400 ჰექტარზე მეტია. ინტერნეტ მომხმარებლებმა ეჭვი შეიტანეს, რომ მთავრობას აქვს საიდუმლო გეგმები. ოფიციალურად უნიკალური პროექტი მიზნად ისახავს სრულიად სამშვიდობო და ერთგვარად კეთილშობილ მიზნებს. კუნძულზე უკვე გაჩნდნენ კუები, სამხედროები კი ჯერჯერობით არ არიან.



◉ მოსყიდული კაცი

ვიდრე იმას გავარკვევდეთ, ბენიტო ამას რატომ ამბობს ან კონკრეტულად რას ედავება რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს, ალბათ, უპრიანი იქნება, ორიოდე სიტყვით თავად ბენიტოს პიროვნებას გავეცნოთ.

პენსიონერი ბენიტო (მეტსახელად ზორბეგაძ ყოველ დილას, უთენია, „ალექსანდრეს ბაღშია" დარჭობილი. თავად კი იმიზეზებს, პაწია თაკო დამყავს სუფთა ჰაერზე სასეირნოდო, თორემ თვითონაც და იქ დამხდურმა ბიჭმა ამფსონებმაც მშვენივრად უწყიან, დილის საარის (ულუფა არყისძ მაღლი როგორი ძალით იზიდავს ხანმოქალებულ ბიჭებს შუშლის გასაბრილებლად და ჭუანარაქოზ ხელისუფალთა განსაქიქებლად. თავად ბენიტო პენსიონერის ამ სამეულისგვარიდ თუ სატვინისგვარიმ გაერთიანება ქვეყნის მეორე პარლამენტად რიცხავს და მიაჩნია, რომ პენსიონერი კანონთმხზველები თავიანთი ინტელექტუალური ხედვებითა და პოპულისტური აზრებით ხალხის რჩეულ ნამდვილ პარლამენტარებს ოდნავადაც არ ჩამოუვარდებიან.

ამ მცირე შესავლის შემდეგ, მინდა პირდაპირ საქმეზე გადავიდე და მკითხველს შეუფერადებლად ვაუწყო იმ უფოთიანი გაუგებრობის ამბავი, რაც ბოლო დღეებში ბენიტოს მოულოდნელმა გაუჩინარებამ და ბაღში ასევე მისმა მოულოდნელმა გამოჩენამ გამოიწვია.

– ბენიტო, ძმაო, ცოცხალი ხარ? – შეეგებნენ ბენიტოს მოსულს ორი დღის უნახაობით გულდათუთქული ბაღელი პარლამენტარები, – აბა გვითხარი, რომელი ავსულის გამოიღვიძე მოგვიანებით თავი?

– ერთი მაგათი დედაც... შეიკურთხა ბენიტომ, როგორც სჩვევია ხოლმე, ხელხვავიანად და რიხიანად, მერე პიჯაკის ჯიბიდან ნახევარ-ნაჭანჭყარევი არყის ბოთლი (250-გრამიანიძ დააძრო და...

– მოდით, ძმებო, მაგათ ჯიბრზე თითო გადავუქახოთ!

– გადავუქახოთ, მაგრამ მაინც რა მოხდა შენ თავს, არ იტყვი? – იკითხა ჩახლეჩილი ხმით ხმელ-ხმელა, წოწოლა პარლამენტარმა და ნახევარზე ჭიქა გასანთრალებლად ხმელა პურის მომცრო ნაჭერი დააყოლა.

– მოხდა, ბიჭებო, მოხდა, – ამოღერღა ბენიტომ, – გუშინწინ საღამოს მოულოდნელად ჩემთან უზურპატორმა პრეზიდენტმა დამაყრალა!

– რას ამბობ, კაცო, თავად პრეზიდენტმა? – აღფრთოვანდნენ პენსიონერი ბიჭები.

– ჰო, თავად პრეზიდენტმა.

– დაგაყარალა თუ დაგაყადაღა?

– რა განსხვავებაა, ჰო, ეთქვათ და ყადაღა დამადო, მერე?

– კაცო, ქონება შენ არა გაქვს და ფული და ეგ რაღაც ყადაღა რაზე დაგადო?

– ალბათ ენაზე, ბიჭებო, ენაზე, – ჩაიქირქილა ცალთვალა პენსიონერმა, – ეს რომ მიზეზე კრიტიკულ სტატიებს ატხრობს ხოლმე, ხო არ დაგავიწყდათ?

– მორჩით რიჟა ბაზარს! – გაწყრა ბენიტო, – როგორც ვატყობ, მიუნაცემი ამ პარლამენტშიც ვბირევიან.

– რა შუაშია მიუნაცობა, – იწყინა ცალთვალამ, – შენ მოგელაძე დაგაყაჩაღებდა და მიშა საიდან მობილადა? განა არ გამიკვირდა, ქვეყნის ამშენებელ პრეზიდენტს განა მაგისთვისა სცალია, შენისთანა ღატაკინები აყაჩაღ-აყადაღოს?

– მე არაფერი მელანდება, – გაჯიქდა ბენიტო, – ყველამ მშვენივრად ვიცით, მოგელაძეც მიშაა, პაატაც, ვანოც და გოგლიკოც. ეგები ყველანი მიშას არიან (თუ უჭკუოებით აზროვნებენ, თქვენ წარმოიდგინეთ, ლაბით სიმპრებსაც კი მიშანაირსა ხახულობენ.

– ნაღდვილად ეგრეა, – კვერი დაუკრა ყავარჯნიანმა პენსიონერმა, – კარგად მახსოვს, მიშას ლაზიკა რომ დაესიზმრა, ზუსტად ისეთივე ლაზიკა მოელანდათ პარლამენტისა და მთავრობის წევრებს.

– სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ, – არ ცხრება ცალთვალა, – ბენიტო, შენ თუ მართალი კაცი ხარ, აბა გვითხარი, რისთვის დაგაყადაღეს?

– ეგ პროკურატურას უნდა ჰკითხო, სადაც იმისთანა კითხვები დამაყარეს, თავი და ბოლო ვერ გავუგე. თავადაც აიბნ-დაიბნენ, მაგრამ რაღაც დასკვნა მაინც გააჩალიჩეს.

– რა დასკვნა?

– ისა, რომ მე თურმე პუტინის მონა ვარ, მისგან შემოგზავნილი შპიონი, ქვეყნის მოღალატე და მოსყიდული პიროვნება.

– კაცო, მასეთი ბრალდებები თუ წაგიყენეს, უკან როგორღა გამოგიშვეს?

– ეტყობა, არჩევნებს დაუცდიან, თუ ნამდვილად მოსყიდული აღმოვჩნდი, ამსისხო მუტრუკი სად დავემალები, დაჭერას მერეც მოასწრებენ.

– ვისგანა ხარ მოსყიდულიო, არ გითხრეს?

– როგორ არა, ვიღაც ლონდონელი ნატალია კოზიუპას თურმე ჩემი მოსყიდვა განუზრახავს და ამ მიზნით ბანკში ჩემ ანგარიშზე 150 დოლარი ჩაურიცხავს.

– იქ უნდა ჩახვიდე და ისე შეგისყიდოს, თუ საიმსაქმოდ ლონდონელი ლამაზმანი საქართველოში თავადვე გესტუმრება? – ცქვიტეს ყურები ბებერმა დონჟუანებმა.

– კარგით ერთი, – დაიმორცხვა ბენიტომ, – თქვენ რასაც ფიქრობთ თავის დროზე არც მაგაზე ვიტყოდი უარს, მაგრამ ახლა თურმე სულ სხვა მიზნით აპირებს ის ქალბატონი ჩემს მოთაფვლას.

**იქიდან პუტინმა დამიმონა, აქედან სააკაშვილმა დამაყაჩაღა!..**

– რა მიზნით?

– როგორც პროკურატურაში ამიხსნეს, ხარჯი იმიტომ გასწია, რომ საპარლამენტო არჩევნებში ხმა ნაცების მაგივრად ივანიშვილს მივცე.

– კი მაგრამ, შენ ხომ ხმას ისედაც ივანიშვილს აძლევ და მოსყიდვა რაღაში დასჭირდათ?

– აბა ელაპარაკე, თითონაც არ იციან, რას ბოდიალობენ. მაგათ რომ ჰკითხო, ლონდონელი ნატალია თურმე ვანო ჩხარტიშვილის პარტნიორია, ჩხარტიშვილი – პუტინის ძმაკაცი, ივანიშვილი – პუტინის პროექტი საქართველოში. ამათ, ყველამ ერთად, თურმე პირი შეკრეს და არჩევნებში ჩემ მოსასყიდად დაირაზმნენ.



– ირაზმონ და იყონ, ვერაფერსაც ვერ დაგიმტკიცებენ, – დააიმედა ბენიტო წოწოლამ. – იმ ქალის გამოგზავნილ ფულზე უარი თქვი და ყველაფერი ამით დამთავრდება.

– კი ვიტყოდი უარს, მაგრამ იმ ფულს საქართველომდე რომ არ ჩამოუღწევია?

– აბა სად დაიკარგა?

– არსადაც არ დაკარგულა, ბიუჯეტის სასარგებლოდ გზაშივე დააყადაღეს.

– აბა რა გადარდებს, შე კაცო, ფული თუ ვერ მიიღე, ყოველ შემთხვევაში არც არაფერი დაგიკარგავს.

– როგორ არ დამიკარგავს, ძმებო, – აიჩუყა გული ბენიტომ, – დიდი ტანჯვა-წვალებით რაღაც 500 ლარი პენსიის დანაზოგი მქონდა დაგროვილი „ლიბერთი ბანკში" და ეგრევე დამიყადაღეს.

– აა, გასაგებია, – აიბზუეს ცხვირი ბაღელმა პარლამენტარებმა, – აქ ჩვენთვის სულ ნაკლული ბოთლით მოგქონდა არაყი და ბანკში მაგდენ ფულს რისთვის აგროვებდი?

ამ კითხვაზე ბენიტოს პასუხი არ გაუცია. რა თქმა უნდა, შეეძლო ეთქვა, რომ ამ ფულს გოგლიკოსგან აღებული ვალის გასასტუმრებლად აგროვებდა, მაგრამ ჩაშვება გამოუვიდოდა და გაჩუმება ამჯობინა. მართალია გოგლიკო პროცენტიან სესხს აძლევს, მაგრამ გაჭირვებისას ხელს ყოველთვის უმართავს და არ უნდა ეს სიკეთე უმადურობით გადაუხადოს. თუმცა ამას მოგელაძეს რას გააგებინებ, ეგ ისეთი თახსირი ვინმეა, შესაძლოა, რომელიღაც უცხოელ ლამაზმანს ფული გოგლიკოსთვისაც ჩაარიცხინოს, მერე შარი მოსდოს და სესხობანით რაც სარგებელი დაუგროვებია, ერთბაშად დააყრევინოს.

ბენიტო არ ამბობს, თორემ ისიც ეფიქრება, რომ თუ არჩევნებში მოსყიდვა დაუმტკიცდა, ბაღის პარლამენტიდან გამოზუნძულება და არყის ულუფის დაკარგვა არ ასცდება. ცალკე კიდე ცოლისა ეშინია, ხომ შეიძლება მან ლონდონელი ნატალიას ფინანსურ ოპერაციას სექსუალური კუდი გამოაბას და ბენიტოს ოჯახის კარი გამოუჯახუნოს? რა იცი, ამ ცხოვრებისგან ყველაფერია მოსალოდნელი.

ასეა, ამ დღეებში ბენიტო ერთობ შეფიქრიანებული, დაბნეული და შეშინებულია.

**ოტია ჩართოლანი**

◉ ინფორმაცია

## ქართულ ბაზარზე ხორბლისა და ფქვილის გაძვირება არ იგეგმება

ქვეყანა ხორბალს მხოლოდ ყაზახეთიდან ყიდულობს, სადაც ხორბლის დიდი მარაგებია. ამ დროისათვის ყაზახეთი ცდილობს გასული წლის ხორბლის მოსავალი „მოიშოროს", რადგანაც შემდგომში ხორბლის ახალი მოსავლის დაბინავება მოახერხოს.

როგორც ხორბლისა და პურ-პროდუქტების მწარმოებელთა კავშირში განაცხადეს, დღეისათვის საქართველო ყაზახურ ხორბალს 280-300 დოლარად ყიდულობს და უახლოესი ერთი თვის განმავლობაში ყაზახური ხორბლის ფასის მატება მოსალოდნელი არ არის. ხორბლისა და პურ-პროდუქტების მწარმოებელთა კავშირში განმარტავენ, თუ კი მსოფლიო ბაზარზე ხორბლის გაძვირება კვლავინდებურად გაგრძელდება, მაშინ რეგიონის ქვეყნები ყაზახეთს „მიაწყდებიან" და მათ ხორბალზე დიდი მოთხოვნა გაჩნდება. ასოციაციაში აცხადებენ, რომ სტაბილური ვითარების შემთხვევაში, ყაზახეთს საექსპორტო ხორბლის მარაგი სექტემბრის ბოლომდე ეყოფოდა, თუმცა თუ კი მოთხოვნა გაიზრდება, მაშინ მისი მარაგებიც შემცირდება.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ გამოიცა

# წიგნი, რომელიც საზოგადოებას სჭირდება

მკითხველმა მიიღო პროფესორ **როზეტა ასათიანის** ორიგინალური ნაშრომი **„თანამედროვე ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი"**. იგი მოიცავს მიკრო, მეზო-, მაკრო-და მეგაეკონომიკის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებს და მათთან მიმართებაში მსოფლიოს ცნობილი ეკონომისტების შემოქმედებითი (სამეცნიეროძ მოღვაწეობის მთავარ ასპექტებს.

ამ ნაშრომის გამოცემას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში:

**პირველი.** ეროვნულ ეკონომიკაში მიმდინარე ძირეულმა ცვლილებებმა (მეტამორფოზებმაძ დღის წესრიგში დააყენა რიგი ეკონომიკური, პოლიტოლოგიური და მმართველობითი ცნებების, ტერმინების ზუსტად ახსნისა და სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების (პროცესებისძ განვითარებაში მათი როლისა და მნიშვნელობის ობიექტურად განსაზღვრის აუცილებლობა.

**მეორე.** ადრე, მსოფლიოს ორ სისტემას შორის დაპირისპირებაში ზოგი ტერმინი (ცნებაძ იდეოლოგიურ ხასიათს ატარებდა, ცალმხრივად განიხილებოდა ამოსავალი ცნებები და მათთან დაკავშირებული პროცესები. მაგალითად, ეკონომიკის მიზანი, მოგების არსი, სოციალური ორიენტაცია, უმუშევრობა და ა.შ., რაც აღრმავებდა საზოგადოებრივი მოვლენებისადმი კლასობრივ მიდგომებს და აფერხებდა საზოგადოებრივ პროგრესს.




**მესამე.** წინამდებარე ნაშრომი ფაქტობრივად წარმოადგენს ამჟამად არსებული უცხოური ეკონომიკური ენციკლოპედიებისა და საკუთრივ ავტორის 20 წელზე მეტი ხნის მანძილზე ამ სფეროში გაწეული ნაყოფიერი მუშაობის შედეგების შეჯერებას (სინთეზსძ, რაც მკაფიოდ გამოკვეთილ ორიგინალობას ანიჭებს და უფრო მიმზიდველს, შინაარსიანსა და სანდოს ხდის მას.

**მეოთხე.** ლექსიკონში ადამიანის განვითარების ინდექსის, ქვეყნების ტერიტორიების, ვალუტის და ა.შ. შესახებ მოცემული ინფორმაცია აღქმადია, აკმაყოფილებს მკითხველის ცნობისმოყვარეობას და ხელს უწყობს ეკონომიკური მოვლენებით (პროცესებისძ, როგორც მთლიანობითი სისტემის შემადგენელი ნაწილების, ობიექტურად წარმოდგენას. ამ ასპექტს პრინციპული მნიშვნელობა აქვს გლობალიზაციის პროცესის – როგორც მთლიანობითი სისტემისა და ლოკალიზაციის – როგორც განცალკევებული პროცესის რეალურად გააზრებისათვის.

**მეხუთე.** ლექსიკონში ზოგადთეორიული პრობლემები (მათი წარმომავლობისა და განვითარების გათვალისწინებითძ განხილულია თანამედროვე მიდგომებით, და რაც განსაკუთრებულად აღსანიშნავია, ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების ისტორიულ კონტექსტში. დამაჯერებელია ავტორის აზრი, რომ ეკონომიკური თეორია არ არის კოსმოპოლიტური მეცნიერება, რომ მასში ეროვნული მოტივის, როგორც მადომინირებელი ფაქტორის, აღიარების აუცილებლობას დღევანდელობა განსაზღვრავს. ამ ფონზე ავტორი არგუმენტირებულად განიხილავს საქართველოში ეკონომიკური თეორიის, როგორც მეცნიერების, განვითარების ისტორიულ ასპექტებს და ხაზგასმით წარმოაჩენს ქართველ მეცნიერ-ეკონომისტების როლსა და ღვაწლს ეკონომიკური აზრის განვითარებაში.

**მეექვსე.** ავტორმა მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და მკაცრი ლოგიკით, პრობლემების ურთიერთგანპირობებულობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სწორად ახსნით მოგვცა სანიმუშო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა შევძლოთ ეკონომიკური მეცნიერების ინტერნაციონალიზაციის პროცესში ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნება და მათი ინტეგრირება (და არა გათქვეფაძ გლობალურ პროცესებთან. ავტორის ეროვნული ხელწერა ადასტურებს მის ფართო ერუდიციას, მეცნიერული აზროვნების მაღალ დონეს, რომელიც შერწყმულია კეთილსინდისიერებასთან, ქვეყნისა და მეცნიერების წინაშე დიდ პასუხისმგებლობასთან, შრომისმოყვარეობისა და შრომის ორგანიზების მომადლებულ ნიჭთან.

**მეშვიდე.** რთული პრობლემების განხილვისას ავტორი არა მხოლოდ ითვალისწინებს არსებულ, ხშირად ერთმანეთისგან განსხვავებულ შეხედულებებს (მიდგომებს, პოზიციებსძ, არამედ ყოველმხრივ ცდილობს, ეროვნული სინამდვილიდან დაინახოს და ობიექტურად შეაფასოს ამა თუ იმ პრობლემის რეალობა და გამოხატოს თავისი პოზიცია. განსაკუთრებით ეს გამოჩნდა ეკონომიკური თეორიის (მისი სხვადასხვა მიმართულებისძ, მდგრადი განვითარების, მცირე ბიზნესის, საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის, სოციალური ეკონომიკის მოდელების, საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის და მოვლენების განხილვისას.

**მერვე.** ეს ნაშრომი სჭირდება მკითხველს. ფართო გაგებით საზოგადოებას როგორც ორიენტირი, რათა სწორად იქნას აღქმული თანამედროვე პირობებში ეკონომიკის განვითარების პრინციპები, მოვლენები, პროცესები. იგი განსაკუთრებით სასარგებლოა მეცნიერ-მკვლევარებისა და უმაღლესი სკოლის პედაგოგებისათვის, ასევე სტუდენტი ახალგაზრდობისათვის.

დღემდე (ზოგიერთი გამონაკლისის გარდაძ ეკონომიკური პროფილის სტუდენტების ძირითადი სახელმძღვანელოებია უცხოელი ავტორების დიდი ხნის წინათ გამოცემული ნაშრომები, რომლებშიც გასაგები მიზეზების გამო განხილული არ არის ეკონომიკის ტრანსფორმატიული პროცესები საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში. აღნიშნული ნაშრომი ამ ხარვეზს გარკვეულწილად ავსებს. ეს მისი დიდი უპირატესობაა.

**ნოდარ ჭითანავა**

ოლიმპიზმი

# „სპორტის დედოფალი“ – სეოკში



ლონდონის 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს 34 სპორტსმენი იასპარეზებს. მათ შორის ოთხი მძლეოსანია. ესენი გახლავთ ოლიმპიური თამაშების ორგზის მონაწილე დავით ილარიანი (თარჯრბენი), სიგრძეზე მხტომელები — მაიკო გოგოლაძე და ბოლესლავ სხირტლაძე და მასიე როსიევიჩი (სპორტული სიარული). 34 წლის პოლონელი სპორტსმენი კარგა ხანია, საქართველოს მოქალაქეა.

გუშინ „სპორტის დედოფლის“ წარმომადგენლებს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში შეხვედრა მოეწყვეს. ათლეტებს სეოკ-ის პრეზიდენტი გია ნაცვლიშვილი და მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი ალექსი ახვლედიანი მიესალმნენ და ოლიმპიურ თამაშებში წარმატება უსურვეს.

ლიცენზიატი მძლეოსნები რამდენიმე დღე თბილისში ივარჯიშებენ, შემდეგ ათდღიან საწვრთნელ შეკრებას ლატვიაში გაივლიან და დიდი ბრიტანეთის დედაქალაქს მიაშურებენ.

სურათზე: მარცხნიდან — ბოლესლავ სხირტლაძე, ალექსი ახვლედიანი, მასიე როსიევიჩი, დავით ილარიანი, მაიკო გოგოლაძე.

ვაჟა დანელიას ფოტო.

ჭადრაკი



# მსოფლიოს საგზურები ნანის და შალვას ერგოთ

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 20 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელშიც სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის ორმოცამდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.**

გოგონებში შესანიშნავად იასპარეზა ნანი უნაფქოშვილმა, 9 შესაძლებლიდან მან 8 ქულა მოაგროვა და პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს 1,5 ქულით ჩამორჩა ანა შამათავა, რომელსაც მეორე ადგილი ერგო. 6 ქულით მესამე ადგილი მარიამ ჭოლაძემ დაიკავა — ბოლო ტურში მან „ბრინჯაოსთვის“ უმთავრესი კონკურენტი ანა კუჭავა დაამარცხა.

ვაჟებში საქართველოს ჩემპიონი გახდა შალვა ნადირაშვილი. მე-9 ტურში მან ერთპიროვნულ ლიდერ დიმიტრი კვარაცხელიას სძლია და 7 ქულით სხვებისთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. 6,5-6,5 ქულით მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, კვარაცხელიამ და ირაკლი ბერაძემ გაინაწილეს.

ჩემპიონები — უნაფქოშვილი და ნადირაშვილი წლეულს 20-წლიანთა მსოფლიოს პირველობაზე ითამაშებენ.

ლექსო ცინცაძე

სურათზე: შალვა ნადირაშვილი და ნანი უნაფქოშვილი.
ავტორის ფოტო.

ჩოგბურთი

# ჩვენებურები უცხოეთის კორტებზე

**უკვე გაუწყეთ, რომ იტალიის ქალაქ ბიელაში ჩოგბურთელ ქალთა 100.000-იან ტურნირში ჩაება ანა ტატიშვილი და პირველი ბარიერიც წარმატებით დაძლია. ამ ტურნირის შარშანდელი ნახევარფინალისტი მაკა ჩახნაშვილი (საგულისხმოა, რომ ორივე ქართველი ჩოგბურთელი წლეულს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში იასპარეზებს) გერმანიაში ვერმოლდის 50-ათასიან ტურნირში მონაწილეობს.**

ფრანგული დენაინის 25-ათასიან ტურნირში წარმატებით აიღო სტარტი სოფიო შაფათავამ — პირველ წრეში მან ფრანგი მანონ არკანგიული დაამარცხა — 6:2, 6:4 და მეორეში ხორვატ ანა ვარლიჩს შეხვდება.

პოლონეთის ქალაქი ტორენიც 25-ათასიან ქალთა ტურნირს მასპინძლობს. იქ ძალებს ცდიან სოფიო ქვაცაბაია და ეკა გორგოძე. ორივემ წარმატებით გადალახა საკვალიფიკაციო ეტაპი: ქვაცაბაიამ პოლონელ ალექსანდრა ზავადსკასა (6:0, 6:1) და უკრაინელ გალინა როზნიჩენკოს (6:2, 2:6, 6:2) აჯობა, გორგოძემ კი მასპინძელი სილვია მიკოლაიჩუკი (6:0, 6:2) და უკრაინელი ნადია კოლბი (6:3, 6:2) დაჯაბნა.

გაგა ჯიბლაძე



ლიცენზიატი

# ვალერი ლიპარტელიანი

**სპორტული კარიერა „დინამოზე“ სამბოთი დაიწყო გმირო ხაჩიძესთან, მალევე ძიუდოზე გადაინაცვლა „შევარდენში“ და გურამ მოდებაძესთან შეუდგა ვარჯიშს. 23 წლის ფალავნის სპორტულ კოლექციას უკვე მრავალი ჯილდო ამშვენებს. 2012 წლის ევროპის ჩემპიონმა კონტინენტის პირველობებზე 2009-2010 წლებში ვერცხლის, შარშან კი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ახალგაზრდებში მსოფლიოს პირველობის გამარჯვებულმა ევროპელ თანატოლებს ორჯერ აჯობა.** ვალერი ლიპარტელიანი უფროსებში ევროპის ორგზის ჩემპიონია გუნდურში და მსოფლიოს პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა. სხვადასხვა წლებში მსოფლიოს თასების, „დიდი პრიზისა“ და „დიდი სლემის“ შვიდგზის გამარჯვებულია. ოლიმპიურ თამაშებში პირველად იასპარეზებს.

— წლევანდელი სეზონი ჩემთვის მართლაც განსაკუთრებულია, — მითხრა ლიპარტელიანმა. — წინა წლებშიც ახლოს ვიყავი ევროპის ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურთან, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო საწადელს ვერ ვაღწევდი. წლეულს კი ხარვეზების აღმოფხვრა შევძელი და ჩემპიონობაც მოვიპოვე.



ეს წარმატება მწვრთნელების დახმარებამ განაპირობა. გვერდით ის ადამიანები მყავს, ვისთანაც მუშაობა მსიამოვნებს.

ჩელიაბინსკში პირადზე არანაკლებ გუნდურმა გამარჯვებამაც გამახარა. შეჯიბრების წინა დღეს ბიჭებს ვეუბნებოდი, რომ პირველობა ჩვენ დაგვრჩებოდა, რადგან ფსიქოლოგიური წნეხი მასპინძლებს მეტი ჰქონდათ. ძალიან უნდოდათ საკუთარი გულშემატკივრების წინ წარმატება, თანაც ფინალში ქართველებთან. ეს წნეხი საკუთარ თავზეც გამოვიცადია 2009 წელს, თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე. თუმცა, ახლა ეს ყოველივე ისტორიის კუთვნილებაა. მთავარი ყურადღება ლონდონის ოლიმპიადისკენ გვაქვს მიპყრობილი. მონდომებით ვვარჯიშობთ და, ვფიქრობ, ურიგო შედეგები არც ლონდონში გვექნება.

**— ოლიმპიურ ტატამზე მთავარ კონკურენტებად ვის მიიჩნევ?**

— უპირველესად, ცხადია, ოლიმპიურ ჩემპიონ ილიას ილიადისს, ანუ ჯარჯი ზვიადაურს, ასევე, კუბელ ეშლი გონსალესს, უზბეკ დილშოდ ჩირიევს, იაპონელ და კორეელ მოჭიდავეებს. ასე რომ, ბრიტანეთის დედაქალაქში ოქროს მაძიებლები მრავლად იქნებიან. დაუმარცხებელი არავინაა და არ არის გამორიცხული, ლონდონშიც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდე.

ვაჟა დანელია

ველომოგზაური

# ლეჟავას გზა ლონდონისკენ



**სახელოვანი მსოფლიო მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა, რომელმაც დედამიწას ველოსიპედით შემოუარა, დღეს 73 წლისაა, მაგრამ ასაკს არ ეპუება — გადაწყვიტა, მეხუთე დიდი ველოტური ევროპის ქვეყნების გავლით ლონდონის ზაფხულის 30-ე ოლიმპიურ თამაშებს მიუძღვნას (იგი 1996 წელს ატლანტისა და 2008 წელს პეკინის ოლიმპიადების გახსნას ესწრებოდა).** სტარტი 13 ივნისს თბილისიდან აიღო. 18 ივნისს ოდესაში იყო, 30 ივნისს სლოვაკეთში შეხვდა. ამჟამად გერმანიის გავლით ჰოლანდიისკენ აქვს გეზი. 13 ივლისს საფრანგეთში ჩავა და მომდევნო დღეს ბასტილიის აღების დღესასწაულში მიიღებს მონაწილეობას. 30-ე ოლიმპიური თამაშების გახსნის დღეს კი დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში იქნება.

ლაშა დიდია

ნიჩბოსნობა

# ორი დღე ბაზალეთზე

**საქართველოს ექვსი ქალაქისა და რაიონის ნიჩბოსნები ორი დღის განმავლობაში ბაზალეთის ტბაზე ეცილებოდნენ ერთმანეთს მედლებს სამ სახეობაში. 200 და 500 მეტრზე ერთადგილიანი ბაიდარებით ყველას ეკა შაბურიშვილმა (დუშეთი) და ბადრი ყაველაშვილმა (თბილისი) აჯობეს, რომლებმაც ორ-ორი ოქროს მედალი დაიმსახურეს.** ორადგილიანი ბაიდარებით პირველები იყვნენ ფინიშთან თეონა შაბურიშვილი და მადონა ვარსიმაშვილი (დუშეთი), ემზარ კიკალიშვილი და გიორგი გოგელაშვილი (ქუთაისი). ერთადგილიანი კანოეთი უძლიერესი იყო მცხეთელი ზაზა ნადირაძე, რომელმაც ამას წინათ ევროპის ჩემპიონატზე მე-8 ადგილი დაიკავა. არადა, ოთხი ათეული წელიწადია, ჩვენს ნიჩბოსნებს მსგავსი წარმატება არ ჰქონიათ. 12-15 ივლისს ზაზა ნადირაძე, ყაველაშვილი და აკადემიურ ნიჩბოსნობაში მცხეთელი ნიკოლოზ კანდელაკი, რომელიც ბაზალეთზე ერთადგილიანი ნავით საქართველოს ჩემპიონი გახდა, პორტუგალიაში მსოფლიოს პირველობაზე მოსინჯავენ ძალებს.

ეროვნულ ჩემპიონატზე ბაიდარასა და კანოეში გუნდური ადგილები ასე განაწილდა: 1. დუშეთი (68), 2. მცხეთა (57), 3. ქუთაისი (41), 4. ფოთი (29), 5. თბილისი (27), 6. რუსთავი (7 ქულა).

აკადემიურ ნიჩბოსნობაში ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავებით პირველი ადგილი არჩილ ბაიაშვილმა და გიორგი თაკაშვილმა (მცხეთა) დაიკავეს, ორადგილიანი გასაშლელი ნავებით ოქრო თორნიკე სინატაშვილსა და თემურ უკლებას (ქუთაისი) ერგოთ.



ბადრი ყაველაშვილი



ზაზა ნადირაძე

გივი გაგუა

ვაჟა დანელიას ფოტო.

კლიმატი

# ჩვენ იქნებ სულაც არ ვართ დამნაშავენი...

**ტერმინ „გლობალური დათბობის“ გაგონება ბევრ ჩვენგანს ერთგვარ შოკურ მდგომარეობაში აგდებს, რადგან მომავალ საშინელებას წარმოუსახავს. არადა, მეცნიერებმა დიდი ხანია დაადგინეს, რომ დედამიწაზე კლიმატი მაშინაც იცვლებოდა, როცა ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გაფრქვევაში კაცობრიობის როლი, ფაქტობრივად, ნულის ტოლი იყო. ახლა კი ფეხის ყოველ ნაბიჯზე გვეუბნებიან, რომ კლიმატის დათბობაში ძირითადი დამნაშავე სწორედ კაცობრიობის სამეწარმეო მოღვაწეობაა. სინამდვილეში, როგორც ირკვევა, დედამიწაზე საყოველთაო დათბობასთან დაკავშირებით მეცნიერებში ერთიანი აზრი არ არის. ცალსახად კაცობრიობას ამაში დადანაშაულება არ გამოდის თუნდაც იმ მიზეზით, რომ რამდენიმე ბოლოდროინდელი გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ მართალია, გლობალური დათბობა დამტკიცებული ფაქტია, მაგრამ ადამიანის მოღვაწეობასთან საერთო არაფერი აქვს.**



კალიფორნიის უნივერსიტეტის სწავლულმა რიჩარდ მიულერმა ბოლო 200 წლის მანძილზე ტემპერატურული მონაცემები გააანალიზა: 1800 წლიდან მოყოლებული თერმომეტრები ჯერ ევროპაში იყო დაყენებული, შემდგომ კი მეტეოსადგურების ქსელის განვითარებასთან ერთად მთელ მსოფლიოშიც გავრცელდა. მიღებული მონაცემებით ირკვევა, რომ **დედამიწის სხვადასხვა რაიონის ტემპერატურა პერიოდულად იცვლება. მაგალითად, ზედაპირთან ახლოს, მან ბოლო 200 წლის მანძილზე პლანეტაზე საშუალოდ დაახლოებით ცელსიუსის 1 გრადუსი მოიმატა.** მსგავსი მონაცემები ამერიკელ და ბრიტანელ კლიმატოლოგებს ადრეც ჰქონდათ მიღებული. თუმცა ზოგიერთი სკეპტიკოსები აღნიშნავს, რომ **მიულერმა და მისმა კოლეგებმა მონაცემებში დიდი ქალაქების ან მათ მახლობლად მდებარე მეტეოსადგურების ჩვენებებიც შეიტანეს, სადაც ტემპერატურა უფრო მაღალია, რასაც ერთიანი სურათის დამახინჯება შეეძლო.** ზოგჯერ კამათი იმის შესახებ, თუ რატომ მატულობს დედამიწაზე ტემპერატურა უკიდურესობამდე მიდის. მაგალითად, ცოტა ხნის წინათ ამერიკის ფიზიკის საზოგადოება დემონსტრაციულად დატოვა ნობელის პრემიის ლაურეატმა აივორ ჯაივერმა, მანამდე ანალოგიურად მოიქცა კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ჰელ ლიუისი – ორივე მეცნიერი არ ეთანხმება საზოგადოების ოფიციალურ პოზიციას, რომელიც გლობალური დათბობის თეორიის მომხრეა.

საქმე ისაა, რომ გლობალურ დათბობაში ადამიანის როლი უაღრესად შეამცირეს ნიუ-იორკის სირაკუზის უნივერსიტეტის მკვლევარებმა გეოქიმიის პროფესორის ზუნლი ლუს ხელმძღვანელობით. ჯგუფის წევრები არცთუ შორეული წარსულის ყველაზე შესამჩნევ კლიმატურ ცვლილებებს სწავლობდნენ, კერძოდ, აღებული იყო შუა საუკუნეები. მათ დაადგინეს, რომ ეგრეთ წოდებული **შუა საუკუნეების დათბობა და, მისი მომდევნო მცირე გამყინვარების პერიოდი გლობალური მასშტაბის მოვლენები იყვნენ და არა ადგილობრივის, როგორც აქამდე იყო მიჩნეული.**

მე-8-მე-13 საუკუნეების დათბობის დროს დედამიწაზე საშუალო ტემპერატურამ ცელსიუსის 1-2 გრადუსით მოიმატა, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახლანდელზე უფრო მაღალი იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **მაშინ, როცა ატმოსფეროში ნახშირორჟანგის გაფრქვევა შეუდარებლად დაბალი იყო, დათბობის პროცესი მაინც მიმდინარეობდა.** იმის დამტკიცება, რომ დათბობა არა მარტო ევროპაში, არამედ მთელს დედამიწაზე ხდებოდა, პროფესორმა ზუნლი ლუმ მინერალ იკაიტის ნალექების შესწავლის შედეგად შეძლო. იკაიტი, იგივე კალციუმის კარბონატი, კირქვას ჰგავს. მისი კრისტალები ზღვებსა და ტბებში დაბალ ტემპერატურაზე, ფსკერის წყლის მონაწილეობით წარმოიშვება, ხოლო ოთახის ტემპერატურაზე ნალექი დნება. მინერალი გრენლანდიისა და ატლანტიკის ნაპირებთან გვხვდება და როცა დედამიწაზე აცივდება ხოლმე იგი ფსკერისპირა წყლიდან ჟანგბად-18-ის იზოტოპებს იერთებს, ხოლო როცა თბება, მაშინ იკაიტში უფრო მსუბუქი ჟანგბად-16-ის იზოტოპები ჭარბობს.

მეცნიერებმა ანტრაქტიდის ნაპირებთან ჭაბურღილი გაბურღეს, რომლიდანაც იკაიტის კერნი ამოიღეს, რომელიც ორი ათასი წლის დანალექს შეესაბამებოდა და შემდეგ მასში ჟანგბადის მძიმე და მსუბუქი იზოტოპების განაწილება შეისწავლეს. ეს კი, ფაქტობრივად, იმის გაგებას ნიშნავს, თუ როდის იყო დედამიწაზე დათბობა და როდის – გამყინვარება.

ჰოდა, აღმოჩნდა, რომ **გეოქიმიური მონაცემები ჟამთაღმწერთა მონათხრობს დაემთხვა: როცა ევროპაში შუასაუკუნოვანი დათბობა იყო, მაშინ ტემპერატურა ანტრაქტიდაშიც, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნის ბოლოშიც იწევდა, მაშასადამე დათბობა გლობალური იყო, ისეთივე, როგორიც დღესდღეობით ხდება, ოღონდ სათბურის ეფექტისა და ატმოსფეროში ნახშირორჟანგის ანტროპოგენური გაფრქვევების გარეშე.** იქნებ დათბობაში კაცობრიობა არც არაფერ შუაშია და უფრო აზრიანი იქნებოდა კლიმატის დათბობის მიზეზი სხვაგან მოგვეძია?

მერე კი შუა საუკუნეების დათბობა საშინელი აცივებით შეიცვალა, რომელსაც მცირე გამყინვარების პერიოდი უწოდეს. კერძოდ, **1621 წელს გაიყინა ბოსფორის სრუტე, 1709 წელს – ადრიატიკის ზღვა. მდინარეებზე ტემზასა და დუნიაზე ციგურებითა და ციგებით დასრიალებდნენ, 1644 წელს კი ევროპაში ფრინველები... ჰაერში იყინებოდნენ, პარიზში კი თოვლი აპრილის დამლევამდე არ დამდნარა! 1601,1602, 1604 წლებში გამყინვარება იმდენად ძლიერი იყო, რომ ყინვებმა... ივლისში დაარტყეს!..**

ამდენად, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ისტორია, შესაძლოა, გამეორდეს, რადგან კლიმატს ასეთი რამეები ზოგჯერ მოსდის ხოლმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დათბობას კვლავ გამყინვარება მოყვება და ამიტომ ჩვენ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

**ნინო ალექსანდრია**

პერსონა

# კაცი, რომელმაც იცის, თუ როგორ უნდა მართოს სამყარო

**მათემატიკაში ნობელის პრემიის ანალოგმა – ფილდსის მედლის მინიჭებამ პეტერბურგელ გრიგორი პერელმანს 2006 წელს მსოფლიო სახელი გაუთქვა. ეს პრესტიჟული ჯილდო მეცნიერს პუანკარეს ჰიპოთეზის დამტკიცებისთვის მიენიჭა, რომლის ამოხსნას მრავალი ქვეყნის მათემატიკოსი მრავალი ათწლეულის განმავლობაში ამაოდ ცდილობდა.**

ამის შემდეგ ამერიკულმა კლეის სახელობის ინსტიტუტმა გამოაცხადა, რომ პერელმანს პუანკარეს ჰიპოთეზის ამოხსნაში მილიონი დოლარიც ეკუთვნის, მაგრამ მეცნიერმა ყველა ჯილდოს მიღებაზე უარი განაცხადა.

იგი ყველას გაურბის – თანასკოლელებს, თანამშრომლებს, კარის მეზობლებს, ჟურნალისტებს. როგორც ჩანს, ერთადერთი რამ, რაც მას მათემატიკის გარდა გულთან ახლოს მიაქვს, ესაა კლასიკური მუსიკა, ოპერის ვოკალი. იგი ხშირად დადის მარიინის თეატრსა და კონსერვატორიაში. როცა მას ცნობენ, იქ ხალხს არ გაურბის, ესაუბრება კიდეც, რადგან იცის, რომ ისინიც სერიოზული მუსიკის ტრფიალნი არიან, თუმცა კი ავტოგრაფებს არ არიგებს.



ერთადერთი კონტაქტი მას ყოფილ რუსეთელთან, ამჟამად ამერიკელ ჟურნალისტთან ალექსანდრე ზაბროვსკისთან ჰქონდა, რის შესახებ ჩვენი გაზეთი წერდა კიდეც. მაშინ კი აღმოჩნდა, რომ გრიგორი პერელმანი სავსებით ადეკვატური, მიზანდასახული, პრაგმატული კაცია. უბრალოდ, მის საქციელთა მოტივაციის გასაგებად საჭიროა სხვა მასშტაბით აზროვნება.

– მარტივად პუანკარეს ჰიპოთეზის არსის გადმოცემა ასე შეიძლება: თუკი სამგანზომილებიანი ზედაპირი რაღაცით სფეროს ჰგავს, მაშინ შესაძლებელია მისთვის სფეროს ფორმის მიცემა, – ასე ხსნის მათემატიკოსი ამ ურთულეს საკითხს „პაპუასებისთვის გასაგებ ენაზე“.– „სამყაროს ფორმულას“ პუანკარეს ჰიპოთეზის დამტკიცებას უდიდეს თეორიაში რთული ფიზიკური პროცესების მიმდინარეობის შესწავლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმის გამო, რომ იგი პასუხს იძლევა სამყაროს ფორმის თაობაზე. ამიტომ იყო, რომ მისი ამოხსნა ამდენი ხნის განმავლობაში ვერავინ მოახერხა. მე კი ვიცი, თუ როგორ უნდა ვმართო სამყარო. ჰოდა, აბა მითხარით, რაღა საჭიროა მილიონის მისაღებად ვირბინო?

**დალი ხუნდაძე**

ინფორმაცია

## დააკავეს ქართველი გენერლის მკვლელობაში ეჭვმიტანილები

**რუსეთში** ყოფილი ქართველი გენერლის რომან დუმბაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილები დააკავეს.

მოსკოვის საგამოძიებო დეპარტამენტის ინფორმაციით, აყვანილია სამი პირი, რომლებიც წარმოშობით საქართველოდან არიან.

გამოძიება მათ ვინაობას არ ასახელებს, თუმცა აცხადებს, რომ ისინი „დაქირავებული“ დამნაშავეები არიან. მათივე ცნობით, აყვანილ პირებს მოსკოვის რეგიონში კიდევ რამდენიმე მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი.

დაკავებულებს ბრალდება მკვლელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ბრუნვის ბრალდებით წარედგინებათ.

რომან დუმბაძე მოსკოვში 21 მაისს მოკლეს. მას საკუთარ სახლთან ახლოს, რუბლიოვის გზატკეცილზე მოტოციკლეტიდან ესროლეს, რის შედეგადაც ის მიღებული ჭრილობებით ადგილზე გარდაიცვალა.

## თავდასხმა ცხინვალში

**ცხინვალში**, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა, ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს ედუარდ კოკოითის დაცვის ყოფილ თანამშრომელს. გავრცელებული ინფორმაციით, თავდასხმა მაშინ მოხდა, როდესაც ავტომანქანა, რომელშიც ედუარდ კოკოითის დაცვის ყოფილი თანამშრომელი, მისი 16 წლის შვილი და თანმხლები პირი იმყოფებოდნენ, ცხინვალის ტერიტორიაზე გადაადგილდებოდა.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის შს ინფორმაციით, 16 წლის მოზარდი და მისი მამა უმძიმეს მდგომარეობაში საავადმყოფოში არიან გადაყვანილნი. მესამე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას საფრთხე არ ემუქრება.

ჯი-ეიჩ-ენი

ლებე გიორგობიანი ღრმა მწუხარებით იუწყება უახლოესი მეგობრის

**თენგიზ (პოგი) შანიძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ნათელა, შოთა გამყრელიძე შვილებით და მათი ოჯახებით იუწყებიან უახლოესი საყვარელი მეგობრის

**მერაბ არველაძის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

თინა, მარიზა, რუსუდან მაზმანიშვილები ოჯახებით თანაუგრძნობენ ქალბატონ ეთერის, მარინა, ნანა, გოჩა გეთიებს, ნანა კვანტალიანს, ბაკურ გულუას, თემურ ვეკუას ბატონ

**გრიგოლ გეთიას**

გარდაცვალების გამო.

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა:** მაინტერესებს, რა იგულისხმება ამჟამად მოქმედი კანონით ტერმინში – „სრული სახელმწიფო კმაყოფა“.

**ვასილ ჭანტურია**

**პასუხი:** მსგავს შემთხვევებში იგულისხმება კვებით, თავშესაფრითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა ინსტიტუციაში მყოფი პირებისა, რომლებიც არიან სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში.

* * *

**კითხვა:** გთხოვთ, განმიმარტოთ, რა არის დღეს მოქმედი კანონით სახელმწიფო პენსიის დანიშვნის ძირითადი საფუძველი? მინდა ვიცოდე, აუცილებელია თუ არა 20 წლის სტაჟი იმისთვის, რომ ორ თვეში, როცა საპენსიო ასაკი შემისრულდება, შემდეგ მინიმალური სარჩო მაინც გამაჩნდეს?

**ლალი მჭედლიძე**

**პასუხი:** ასაკით პენსიის დანიშვნის ძირითადი საფუძველია საპენსიო ასაკის მიღწევა. ასე, რომ 60 წლის შესრულების შემდეგ, თუ თქვენ ისეთი დაწესებულების თანამშრომელი არ იქნებით, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, პენსია (სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად) თვეში 100 ლარის ოდენობით ყველა შემთხვევაში მოგეცემათ. შრომის სტაჟის ხანგრძლივობას მნიშვნელობა აქვს პენსიაზე დანამატის დარიცხვის საკითხის გადასაწყვეტად.

* * *

**კითხვა:** ვარ 35 წლის, გარდამეცვალა მეუღლე, რომელიც მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. დამრჩა 3 მცირეწლოვანი შვილი. გთხოვთ, განმიმარტოთ, ვის მივმართო ბავშვებისთვის პენსიის დასანიშნად.

**ლამარა გამყრელიძე**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, მცირეწლოვანი შვილებისთვის მამის გარდაცვალების გამო კომპენსაციის (და არა პენსიისძ დანიშვნის საკითხზე გირჩევთ მიმართოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი №144ძ.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ფრთხილად!

# აქტიური პროცესები ივლისში



**ივლისში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 7,10-15, 19, 20, 24-28, 31 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და ქარიშხლების ჩამოყალიბება, ავარიულობის გაზრდა ყველა სახეობაში, სეისმოაქტიურობის და დაძაბულობის გაძლიერება სოციუმში.**

**7– მთვარე-ნეპტუნის შეერთება.** შესაძლებელია ვარდნები ატმოსფერულ წნევასა და ტემპერატურაში, ნალექები და წყალდიდობანი. არ არის გამორიცხული დაბნეულობა, უყურადღებობა, შინაგანი შფოთვები, ფსიქიკურ დაავადებათა გამწვავება, აკვიატებული იდეები. მოსალოდნელია ჩავარდნები იმუნურ სისტემაში, ინფექციური დაავადებანი, მხედველობის გაუარესება, ტკივილები სისხლძარღვებსა და ფეხის სახსრებში; შეშუპება. რეკომენდებულია თავი შევიკავოთ სპირტიან სასმელებსა და ყავაზე. სასარგებლოა წყლის პროცედურები, ტერფების რეფლექტორული ზონების მასაჟი. მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა უმჯობესია გადავდოთ.

**11 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილებები. შესაძლებელია განწყობილების გაუარესება, შინაგანი დაძაბულობა, შფოთვარე ძილი, თავის ტკივილები. რეკომენდებულია შევზღუდოთ ფიზიკური დატვირთვები, დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი, ემოციები გვქონდეს კონტროლზე. ფრთხილად იყავით ცეცხლთან, ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და აღმგზნებ საშუალებებს. სასარგელოა გასეირნებები, სუნთქვითი ვარჯიშები, გამწმენდი და არომატული პროცედურები. კარგი დროა დაწყებული საქმეების დასასრულებლად.

**15 – მთვარის იუპიტერთან და ვენერასთან შეერთება.** შესაძლებელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ვარდნები. ყველაზე მომწყვლადია სასუნთქი ორგანოები, ხელები, ღვიძლი, ყელი. არ არის გამორიცხული ოსტეოქონდროზისა და კვებითი მოწამვლის გამწვავება. რეკომენდებულია, მოვიხმაროთ ხარისხიანი კვების პროდუქტები, არ გადავტვირთოთ ღვიძლი ცხიმიანი და მძიმე საკვებით, არ ავწიოთ სიმძიმეები, ვერიდოთ ორპირ ქარს, ცივ სასმელებსა და ნაყინს. სასარგებლოა გამწმენდი და წყლის პროცედურები, სასუნთქი ვარჯიშები, სუფთა ჰაერზე ყოფნა.

**19 – სრული მთვარე. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილებები.** ორგანიზმი უკიდურესად დასუსტებულია, დიდია დაავადებათა ალბათობა. შეიძლება ადგილი ჰქონდეს დათრგუნვას, მჟმუნვარებას, მოუფიქრებლობას, შენელებულ რეაქციებს, შრომისუნარიანობის დაქვეითებას, ინტუიციის გამწვავებას. ყურადღებას მოითხოვს გული, ზურგი, სისხლის მიმოქცევის სისტემა. არ არის გამორიცხული კანის დაავადებანი და რადიკულიტი. არ უნდა ავწიოთ სიმძიმეები, გონებრივად არ გადავიტვირთოთ, არ მოვწიოთ და არ გამოვიყენოთ ალკოჰოლი. სასარგებლოა ზომიერი ვარჯიშები, ჰაერის აბაზანები, სრულფასოვანი ძილი.

**20 – მთვარე-მერკურის შეერთება.** შესაძლებელია უყურადღებობა, შეშფოთება, უძილობა, ნევროზი, გულისა და სასუნთქი გზების დაავადებანი. არ არის გამორიცხული კისრის და ზურგის კუნთების ნევრალგია, როგორც შეშფოთებისა და სტრესების შედეგი. დაზოგეთ ფიზიკური ძალები, ერიდეთ დამქანცველ მოგზაურობას, ნუ გადატვირთავთ გულს, ხელებს და ხერხემალს. სახიფათოა მოწევა და ალკოჰოლის მიღება. სასარგებლოა მსუბუქი გასეირნება და სრულფასოვანი ძილი. ყურადღებით იყავით ტრანსპორტით მოგზაურობის დროს.

**24 – მთვარე-მარსის შეერთება. შესაძლებელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ხტუნვა.** შეიძლება გაჩნდეს აღგზნება, გაღიზიანება, მოუთმენლობა. არ არის გამორიცხული თავის ტკივილი, მშფოთვარე ძილი, თირკმელებისა და შარდის გამომყოფი სისტემების ანთებითი დაავადებანი, ციება, რადიკულიტი. რეკომენდებულია ვერიდოთ ტრავმატიზმს, ინფექციურ და გადამდებ დაავადებებს, გავის მიდამოების გაციებას. სასურველია, ვერიდოთ კონფლიქტებს, სტრესებსა და ურთიერთობათა გარკვევას. რაციონიდან უნდა ამოვიღოთ ცხიმიანი და ცხარე საკვები, აგრეთვე ალკოჰოლი. ხელსაყრელი დროა აქტიური დასვენების, ურთიერთობებისა და გაცნობისთვის.

**25 – მთვარე-სატურნის შეერთება.** შესაძლებელია ოსტეოქონდროზის გამწვავება, ტკივილები ძვლებსა და სახსრებში, თირკმელებისა და შარდსადენი გზების ინფექციური დაავადებანი. ერიდეთ ტრავმატიზმს, ინფექციებს, გაციებას, დაძაბულ ფიზიკურ შრომას და სიმძიმეების გადატანას. სასარგებლოა, დავიცვათ დიეტა, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე. უფრთხილდით საკუთარ ძალებს, ხერხემალს, ფიზიკურად არ გადაიტვირთოთ, ერთმანეთს შეუხამეთ მუშაობა და დასვენება.

**26 – მთვარის პირველი მეოთხედი.** მოსალოდნელია ცვლილებები ატმოსფერულ წნევასა და ტემპერატურაში. ენერგეტიკა გაზრდილია, შესაძლებელია დავები და კონფლიქტები, შეშფოთება, ეჭვიანობა. ყველაზე უფრო მოწყვლადია შინაგანი და გარე სასქესო ორგანოები, შარდსადენები, სწორი ნაწლავი. რეკომენდებულია, უარი ვთქვათ ცხარე და ცხიმიან საკვებზე, ერიდეთ ინფექციებს. სასარგებლოა ნებისმიერი საერთოდ გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, სამკურნალო აბაზანები, გასეირნება.

**31 – მთვარე-პლუტონის შეერთება.** შესაძლებელია სიცოცხლის ძალებისა და ემოციური ტონუსის დაქვეითება, მარტოობის გრძნობა და სულიერი სითბოს უკმარისობა. არ არის გამორიცხული რევმატიზმის, ოსტეოქონდროზისა და სხვა საყრდენი მოძრაობის აპარატის დაავადებათა გამწვავება, აგრეთვე სასქესო სფეროს ორგანოების პრობლემების გაჩენა. არ არის სასურველი მაღალი ფიზიკური დატვირთვები და ვარჯიშები. ერიდეთ გაციებასა და ტრავმატიზმს. სამუშაოზე მოწყობა და მოუფიქრებელი ფინანსური ოპერაციები უმჯობესია გადავდოთ.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

# გუშინდელი გაზეთებიდან



### „მერაბიშვილი პრემიერად ივანიშვილის გასანეიტრალებლად დაინიშნა"

„ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძე ფიქრობს, რომ მერაბიშვილი რთული ამოცანის წინაშეა. გამყრელიძე ვერ აკონკრეტებს, ახალი კონსტიტუციის ფარგლებში პრემიერის პოსტს, ნაციონალების გამარჯვების შემთხვევაში, მერაბიშვილი დაიკავებს თუ სააკაშვილი, თუმცა ზუსტად იცის, რომ გარიგებების შემთხვევაში, თუ ასეთს ადგილი ექნება, არავინ მისცემს გარანტიას, რომ მერაბიშვილის სისხლის სამართლებრივი და პოლიტიკური პასუხისმგებლობა არ დადგება...

...სააკაშვილი ივანიშვილის, როგორც კონკურენტის, გასანეიტრალებლად წავიდა ამ ნაბიჯზე და მიიღო ეს გადაწყვეტილება.

**„ახალი თაობა".**

### „ჩემთვის სრულიად ლოგიკური იყო დეკანოიძის მინისტრად დანიშვნა"

– ამბობს მაია მიმინოშვილი, – შემიძლია გითხრათ, ჩვენ რომ წამოვედით, აბსოლუტურად ყველაფერი გამზადებული დავტოვეთ. ერთადერთი – ადმინისტრირებაა საჭირო და მეტი არაფერი .

**„რეზონანსი".**

### „თემურ შაშიაშვილის „თეთრი სტრატეგია" და პროგნოზები

„თუ ზუგდიდში „ქართული ოცნების" აქციებზე, ბევრი ხალხი შეიკრიბება და დარწმუნებული ვარ, ზუგდიდში ყველაზე მეტი შეიკრიბება, არაა გამორიცხული, რომ სააკაშვილი ყოველნაირ პროვოკაციაზე წავიდეს და 7 ნოემბრის მსგავსი რამე მოაწყოს, ასევე, შესაძლებელია, რომ აგვისტოში სერიოზული დაჭერები დაიწყოს" – აცხადებს თემურ შაშიაშვილი.

**„ქართული სიტყვა".**

### „თავის სამართლებელი არაფერი მაქვს"

– აცხადებს ცნობილი მსახიობი და რეჟისორი გოგი ქავთარაძე. იგი სახალხო კრებიდან „ქართულ ოცნებაში" კარგა ხანია წავიდა, როგორ, როდის და რა ვითარებაში, ეს ცალკე შეფასების თემაა, თუმცა მისი ერთი ფრაზა ახლაც განხილვის საგანია – კრებიდან როგორ წავიდოდი, როცა იქ არც ვყოფილვარო. სამაგიეროდ, საუბრისას, ბატონმა გოგიმ, საერთო კრების ბევრი თარილი და ემოცია გაიხსენა.

**„ვერსია".**

### განტევების ვანო, ანუ ხერხემლის გამრუდება

ბოლო დღეებში ქართული ექსპერტები გაფაციცებით მსჯელობდნენ და ენერგიულად მკითხაობდნენ იმის თაობაზე, თუ რა გათვლა იდგა საკადრო გადაადგილებების უკან, თუმცა, როდესაც გათვლაზე ვსაუბრობთ, გავითვალისწინოთ რომ პოლიტიკური პრაგმატიზმის ცივ ლოგიკას ამ შემთხვევაში ერწყმის მიხეილ სააკაშვილის სუბიექტური შეხედულებები, შიშები და უცნაური რწმენა-წარმოდგენები.

**„საქართველოს და მსოფლიო".**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

– აბა, დესერტად რა გაქვს? – კითხულობს ქმარი ნავახშმევს.

– ვიაგრა, – უპასუხებს ცოლი.

* * *

**დიდი** საკონცერტო დარბაზი. იწყება სიმფონიური ორკესტრის კონცერტი.

კონფერანსიე აცხადებს:

– შოსტაკოვიჩის მეექვსე სიმფონია! ასრულებს...

ბოლო რიგში ისმის გაბრაზებული კაცის ხმა:

– ხედავ, რა მოხდა? ამდენ ხანს რომ ირთვებოდი, ხუთი სიმფონია გაგვიცდენია!

* * *



**რედაქციაში** ზარი ირეკება. – ძვირფასო რედაქცია! ექიმებმა ულტრაბგერითი მკურნალობა დამინიშნეს.. გთხოვთ, გაუშვათ ზუმბას მუსიკა.

* * *

**ვიყიდე** ჩინური ჩაი გასახდომად! ტორტთან ერთად გადასარევია!

* * *

**ავტოინსპექტორი** მანქანას აჩერებს. ხედავს, რომ საჭეს ძაღლი მისჯდომია, უკანა სავარძელზე კი კაცი ზის.

– შენ რა, მთლად გაგიჟდი? საჭესთან ძაღლი რამ დაგასმევინა? – უყვირა ინსპექტორმა.

– მე რა შუაში ვარ? – ლუღლუღებს კაცი. – გზაზე ხელი ავუწიე, გამიჩერე-მეთქი, და, მანაც გამიჩერა.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24